სპორტიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 21 ივლისი 1995 № 43 (181) ფასი 1000 მან ან ფარდი კუპ

მძლეოსნური სამყარო დიდ სამზადისშია: 4 აგვისტოს შვედეთში, გიოტებორგში მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება. წლის უმთავრესი შეჯიბრის წინ უამრავი ტურნირი ეწყობა, სადაც ზოგი მსოფლიოს რეკორდს ამყარებს, ზოგიც ძალებს აგვისტოსთვის იზოგავს. შარშანდელ ევროპის ჩემპიონატზე დაკავებული მეხუთე ადგილის შემდეგ ქართველი სპრინტერი ქალი

მაია აზარაშვილი

თვალთახედვიდან კარგა ხნით დაგვეკარგა, გუშინწინ კი თავი სახიამოვნოდ შეგვახსენა: ერთ-ერთ ასეთ შეჯიბრზე ორივე სპრინტერული დისტანცია — 100 და 200 მეტრი მოიგო და მსოფლიოს ჩემპიონატისთვის იმედი ჩაგვისახა. ერთი დღით აღრე ერთი ძველი მსოფლიო რეკორდიც გაუმჯობესდა:

ჯონათან ედვარდსი 17,98

ამ სამკვირანახევრის წინ ბრიტანელი სამმხტომელი ჯონათან ედვარდსი ლილში, ევროპის თასზე ერთობ შორს — ჯერ 18,43 მეტრზე, მერე — 18,39-ზე კი გადახტა, მაგრამ ზურგქარი დასაშვებზე ძლიერი რომ იყო, მისი შედეგი მსოფლიო რეკორდად არ ჩაითვალა. ედვარდსს მერეც კარგი შედეგები ჰქონდა, სამშაბათს კი ბოლოსდაბოლოს მაინც გაუმჯობესა ამერიკელი ვილი ბენჭსის მიერ 1985 წელს დამყარებული რეკორდი (17,97). ყველაფერი ესპანეთის ქალაქ სალამანკაში მოხდა, სადაც ზურგქარი ზომიერი იყო.

კიდევ გააბრაზეთ!

რა წყნარიც იყო, მაინც გეწყინება: წონა წესების სრული დაცვით დასძლიო, რატომღაც არ ჩაგითვალონ, გააპროტესტო, ამთ კი, ბოდიში, შეგვშლია, მოდი, კიდევ ასწიე, გითხრან. ეს „კიდევ ასწიე“ სათქმელადაა ადვილი, თორემ უკვე არაქათგამოცლილი ამ საბოდიშო ცდისთვის რაღას ივარგებ. აი, ეს დაემართა ზუსტად ერთი თვის წინ გიორგი ასანიძეს ახალგაზრდა ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე (ისრაელის ქალაქ ბეერ-შევაში) და ამ გაჯანჯღლებული წონის გადამკიდემ ორჭიდის ჯამში ოქროს ნაცვლად ვერცხლი მიიღო.

ახლახან კი ვარშავაში ჯავრი იყარა, თანაც თანატოლთა მსოფლიოს ჩემპიონატზე. გიორგიმ ჯერ ატაცში გააუმჯობესა „საკუთარი“ მსოფლიო რეკორდი — 165 კგ დასძლია, მერე 190 კგ აპკრა, რამაც უკვე მსოფლიოს ჩემპიონობა და ორჭიდში მსოფლიო რეკორდსმენობა მოუტანა, ეს აღარ იკმარა, აკვრაში მეორე ცდაზე 195 კგ-იც დაიმორჩილა და საბოლოოდ 360 კგ-ით დაასრულა საჩემპიონო გამოსვლა. რა ჩარა იყო, ამჯერად გარჯა დაუფასეს: ტურნირზე საუკეთესოდ აღიარეს, საერთაშორისო ფედერაციამ კი სეზონის საუკეთესო ახალგაზრდა ძალოსნად დაასახელა.

ზვიად შათირიშვილი

1995 წლის 11 ივლისი. შინდისელმა ძიუდოისტმა დავით ჯავახიშვილმა ეს წუთია, წააქცია ბელგიელი მეტოქე ბოონენი და გახდა პირველი ქართველი, ვინც ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური დღეების ისტორიაში ოქროს მედალი მოიპოვა.

ხვალ რაგბის მსოფლიო თასის ფინალის ბადალი მატჩია: მსოფლიოს პირველი ჩემპიონი ახალი ზელანდია მსოფლიოს მეორე ჩემპიონ ავსტრალიას უმასპინძლებს. მეზობლები ამგვარად 99-ედ ხვდებიან ერთმანეთს. ზუსტად ერთი კვირის თავზე მე-100 მატჩიც გაიმართება. შარშანდელი თამაში ავსტრალიამ მოიგო 20:16. „ვოლაბთა“ მაშინდელი კაპიტანი ფილ ქერნსი, ვინაც ფოტოზე აღბეჭდილი იერიში ლელოთი დააგვირგვინა, ხვალ ისევ უწინამძღოლებს გუნდს, რომელიც მსოფლიო თასს მეოთხედფინალში გამოეთიშა.

იხილეთ მეშვიდე გვერდი

მეოთხე-მეხუთე გვერდებზე წაიკითხეთ „სარბიელის“ სპეციალური კორესპონდენტის მერაბ რატიშვილის რეპორტაჟი

ატლანტაში ხარობენ და შიშობენ

ატლანტის ოლიმპიადის გახსნამდე ზუსტად ერთი წელი დარჩა. ეს ღირსშესანიშნავი დღე ჯორჯიელებმა ფეიერვერკებით აღნიშნეს. დღე-დღეზე ისინი მსოფლიოს 197 ქვეყანას, მათ შორის საქართველოსაც, ოფიციალურ მინვევას გაუგზავნიან, არიქა, საასპარეზოდ გვეწვიეთო. ისე კი, ატლანტელები თურმე შიშობენ, ემანდ ქალაქი არ გაგვიღატაკდეს, რაც უნდა იყოს, ოლიმპიადის მასპინძლობა მილიარდნახევარი დოლარი გვიჯდებაო.

100
Atlanta 1996

მალე კალენდარი გვექნება

დღეს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომი განიხილავს და დამტკიცებს მეშვიდე ეროვნული ჩემპიონატის კალენდარს, დღესვე საბოლოოდ გაირკვევა ისიც, რომელი გუნდები მიიღებენ მასში მონაწილეობას. წინასწარი მონაცემებით, ჩემპიონატი 2 ან 3 აგვისტოს დაიწყება. მანამდე კი გუნდები შეკრებაზე იმყოფებიან. თბილისის „დინამოს“ პირველი შემადგენლობა თურქეთშია. გამგზავრებამდე დინამოელებმა საკონტროლო შეხვედრებში დაამარცხეს „მრეტები“ (5:0) და „ბაჩო-მერანი“ (10:1), იქ კი ამ დღეებში „ტრაბზონსფორს“ შეხვდებიან. „დინამოს“ მეორე შემადგენლობა დღეს „მრეტებს“ ეთამაშება დიღმის ბაზაზე. „სამტრედია“ ავსტრიაში ემზადება ეროვნული ჩემპიონატისა და უეფას თასისთვის, ფოთის „კოლხეთი“ კი, რომელმაც „დინამოდან“ მცველი შალვა ხუჯაძე დაიმატა, ბულგარეთშია. როგორც შევიტყვეთ, უკრაინას გაკრეფილ ქართველ ლეგიონერთა ნაწილი შესაძლოა შინ გამობრუნდეს, რაკიღა ძოძუაშვილს ისევ რუსთავში საქმიანობა და თან წაყვანილი ახალგაზრდების დაბრუნება განუზრახავს. ბესიკ ბერაძე კი, ჩიხრაძესთან, გაბისკირიასთან და ჯუღელთან ერთად, კიდევ ერთხელ შეხვდება ბელგიასტის „ლინფილდს“, ამჯერად თასების თასზე დონეცკის „შახტიორის“ შემადგენლობაში.

მამუკა კვარაცხელია

«მერცხალს» ბუდე მოუშალეს

ეს სამწუხარო ამბავი ფეხბურთის ფედერაციის პრესცენტრის ხელმძღვანელმა ჯემალ ჭიპაშვილმა გვაცნობა: ოზურგეთის „მერცხალი“ მონაწილეობას აღარ მიიღებს ეროვნულ ჩემპიონატში. ეს კლუბი, რომელსაც წელს 70 წელი უსრულდება და ერთ-ერთი უძველესია ჩვენს ფეხბურთში, ადრეც ყოფილა მსგავს ფინანსურ გასაჭირში, მაგრამ დაშლამდე საქმე არ მისულა. ახლა კი ოზურგეთს ჩასულ ფედერაციის წარმომადგენლებს რაიონის გამგებელმა ვლადიმერ კუნჭულიამ გამოგვიცხადა, რა დროს ფეხბურთია, ხალხს ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინას ვერ ვუკეთებთო. სხვათა შორის, არც ჩიხატაურსა და ლანჩხუთშია სამოთხე, მაგრამ იქაურმა რაიონის ხელმძღვანელებმა მაინც გამონახეს სახსრები „ბახმაროსა“ და „გურიას“ გადასარჩენად. შევიტყვეთ ისიც, რომ „მერცხალის“ სტადიონის სასტუმროს პოლიცია დაპატრონებია...

საფეხბურთო კლუბის დაშლა მართლაც დიდი დანაშაულია — სინანულით დასძინა ბოლოს ბატონმა ჯემალმა — შექმნაა ძნელი, თორემ დაშლაზე ადვილი არაფერია. ასე რომ, ახალი სეზონიდან „მერცხალი“ აღარ გვეყოლება.

მამუკა კვანტალიანი

«შევარდენი» არ იყიდება!

სულ რაღაც ორიოდ კვირის განმავლობაში საფეხბურთო კლუბ „შევარდენზე“ იმდენი ჭორ-მართალი შევიტყვეთ, რამდენიმე თაბახს თავისუფლად შეავსებდა. ამას დავუმატოთ ის სკანდალიც, რომელსაც ფეხბურთის ფედერაციაში შევესწარით: „შევარდენის“ ხელმძღვანელობა აღშფოთებას ვერ მალავდა ზოგიერთ გაზეთში გამოქვეყნებული, მათი თქმით, დაუზუსტებელი და შეუმოწმებელი ინფორმაციის გამო, რომლითაც საზოგადოებას ეუწყა კლუბის გაყიდვა თანხის დასახელებით — 80 000 დოლარი. ამ დავიდარაბაში ფეხბურთის გულშემატკივრებს თავგზა დაებნათ. სიმართლის გასარკვევად მოვინახულეთ „შევარდენის“ ვიცე-პრეზიდენტი მალხაზ გოგუა:

— კლუბის ხელმძღვანელობამ საჯაროდ გამოაცხადა, რომ „შევარდენი“ არ გაიყიდება — ამის თაობაზე ახლახან თქვენი გაზეთის მეშვეობითაც განვაცხადეთ, მაგრამ ლაპარაკი მაინც არ წყდება. ყველას ძალიან ვთხოვთ, ამ თემაზე საუბარს ბოლო მოეღოს. რაც შეეხება „ბაჩო-მერანთან“ შეერთებას, ეს სრულებითაც არ არის გამორიცხული, მაგრამ, ვიმეორებ, ლაპარაკია მხოლოდ და მხოლოდ ორი საფეხბურთო კლუბის შეერთებაზე. თუ გაერთიანდით, შეიქმნება კლუბების დირექტორატი, თუ არა, „შევარდენის“ ხელმძღვანელობა უცვლელი დარჩება. მთავარი მწვრთნელის, მოთამაშეთა შემატების და სხვა საჭირბოროტო საკითხები უახლეს ხანს გადაწყდება. გუნდი კი ყოველდღე ვარჯიშობს და საკონტროლო თამაშებსაც მართავს.

მამუკა კვანტალიანი

კოპა ამერიკა-95

მეოთხედფინალში ბრაზილია — არგენტინის შეყრა და სამხრეთამერიკულ პრესაში გაცვეთილი ფრაზის, ამ თამაშს ფინალობა მოუხდებოდაო, წინასწარ გამოჩენა ერთი იყო. კიდევ ერთ მეოთხედფინალში, რომელმაც „სარბიელის“ წინა ნომერს ვერ მოუსწრო, მოწვეულები — მექსიკა და აშშ ხვდებოდნენ ერთმანეთს.

მეოთხედფინალი. 17 ივლისი

ბრაზილია 2:2 არგენტინა

პენალტებით 4:2

სწრაფ მატჩში გოლიც სწრაფი გავიდა, მეორე წუთზე აბელ ბალბომ გრძელი პასი მიიღო და შანსი ხელიდან არ გაუშვა. მსოფლიოს ჩემპიონებიც სწრაფად მოეგენ გონს, შვიდი წუთის შემდეგ რობერტო კარლუშმა ედმონდოს გაუჭრა და ცნობილმა ჩხუბისთავმა ბურთს კარში მიუჩინა ადგილი. არგენტინელებმა ტაიმის ფრედ დამთავრება ითაკილეს. ბატისტუტამ ტფარელს ახლო ძელთან დაურტყა და ბრაზილიელ გულშემატკივრებს ათასჯერ ნათქვამი, გუნდი კარგი გვყავს, მაგრამ მეკარე სუსტიო, გაამეორებინა. შემდეგ მსჯი გაქანებულ:ჯერ მეტოქის ორჯერ წაქცეულ ტაფარელს ეკეთა ბურთი, ბოლოს ბურთი ბოლოს ბურთი ბოლოს ბურთი

რუსეთი

ᲨᲔᲘᲪᲝᲓᲔᲗ ᲒᲐᲖᲐᲔᲕᲘ!

XVI ტური: 15 ივლისი. სპარტაკ-ალანია — უემჩუენა 5:0, სპარტაკი — ჩერნომორეცი 5:0, ტორპედო — ლოკომოტივი (მ) 1:0, ტექსტილშჩიკი — დინამო 1:2, როსტსელმაში — როტორი 0:4, დინამო გაზოვიკი — კრილია სოვეტოვ 3:2, კამაზი — ლოკომოტივი (ნ.ნ.) 1:1, ცსკა — ურალმაში 2:0

ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიას“ ჩემპიონობას თითო-ოროლა „ურწმუნო თომას“ გარდა ყველა შეეგუა. მხოლოდ მათი მოსკოველი თანაკლუბელები გაიძახიან ჯიუტად: ყველაფერი წინაა, ჩემპიონება ამჯერადაც ჩვენ უნდა გავხდეთო, მაგრამ არა მგონია, თავად სჯეროდეთ ამ სიტყვებისა, ეტყობა, უბრალოდ, იხტიბარს არ არ იტეხენ. ისე, მართლა რაღაც სასწაული უნდა მოხდეს, რომ გაზაევის გუნდმა თოთხმეტ დარჩენილ თამაშში თორმეტქულიანი (!) უპირატესობა გაფლანგოს.

კავკასიელებმა ზედიზედ მეცხრედ მოიგეს, თანაც რუსეთის ჩემპიონატში მათი კლუბისთვის აქამდე მიუღწეველ შედეგსაც — 5 გატანილ ბურთსაც „გამოკრეს ხელი“. არადა, სოჭელმა მეკარე კრიუკოვმა მეტოქეთაგან ყველაზე კარგად ითამაშა, თორემ ანგარიში ორნიშნა რაცხვებით გამოიხატებოდა. პირველი გოლი შელიამ შეაგდო თაურით, მეორე და მეოთხე — ყაველაშვილმა, რითაც თავისი მონაგარი შვიდამდე აიყვანა. მიშამ ისეთი ბურთები გაიტანა, რუსმა ჟურნალისტებმა დაწერეს, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც საფეხბურთო შედეგრები გვაჩუქა. ამ ორი გოლის გარდა, ყაველაშვილი კიდევ სამჯერ გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ „ასპროცენტიან შედეგს“ ვერც ამჯერად მიაღწია. ქართველი ფორვარდი მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს, 7,0 ბალი დაუწერეს და შელიასთან (6,5) ერთად ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა. მატჩის შემდეგ მიშას უთქვამს, დღეს ჩემი შესაძლებლობების მხოლოდ 60-70 პროცენტი ვითამაშეო. თუ ეს პროცენტი მატებისკენ არ შეძცალა, გაზაევი უეჭველად კრეიფის ორიოდწლისწინანდელ ბედს გაიზიარებს და საავადმყოფოში მოხვდება, რადგან ყველა მატჩს ფეხზე მდგომი უყურებს და ჰოლანდიელივით ამ საათნახევარში ორმოცადე ღერ სიგარეტს ეწევა. „სპარტაკ-ალანია“ რომ ნაღდი საგოლე მომენტების ნახევარს მაინც იყენებდეს, ხუთი გოლი მატჩში მინიმუმი იქნებოდა.

მატჩის 63-ე წუთზე ხაპოვი გრიშიკაშვილმა შეცვალა და სამი ისეთი ბურთი „გამოაძრო“, გულშემატკივრები სიხარულით ცას ეწივნენ, ეს რა მეკარე გვყოლიაო. ეს სოსოს მეორე მატჩი იყო რუსთა ჩემპიონატში და ორიეულივე შშრალად შეინახა კარი. ამ თამაშში პირველად ითამაშა გერმანიიდან დაბრუნებულმა რუსეთის ნაკრების წევრმა გორლუკოვიჩმა, რომელსაც რუსეთის პროფესიულმა ლიგამ როგორც იქნა აღირსა თანხმობა. სიტყვამ მოიტანა და, ამ ლიგის შეფისა და მოსკოვის „დინამოს“ პრეზიდენტის ნიკოლაი ტოლსტიხის ორივე სკამზე ჯდომის გამო ატეხილი დავიდარაბა ნოემბრამდე გადაიდო, რაკილა ტოლსტიხმა ლიგის კონფერენციაზე განცხადა, ლიგა ასოციაციად უნდა გადაკეთდეს და ჩემი პრეზიდენტობის საკითხიც ამ შემოდგომით გადავწყვიტოთო...

მოსკოვის „სპარტაკი“ მანამ არ მოეგო გონს, სანამ 12 ქულით არ ჩამორჩა ვლადიკავკაზელებს, მერე უცვლელმა ჩემპიონმა ზედიზედ ხუთი მატჩი მოიგო, ბოლოს „ჩერნომორეცი“ გაანადგურა — 5:0, მაგრამ იმ თორმეტ ქულას ჯერჯერობით „ძვრა ვერ უყო“. ამთაც ჰყავთ გერმანიიდან დაბრუნებული ლეგიონერი, რომელსაც ლიგამ ჩამოსვლის მეორე დღესვე გაუფორმა საბუთები და შმაროვმაც შვიდ თამაშში შვიდი გოლი შეაგდო. „ჩერნომორეცთან“ მესამე გოლი მართლა საფეხბურთო შედევრად უნდა ჩაითვალოს, შმაროვმა თავის დაკრულზე აცეკა მეტოქის დაცვა და მეკარე და ცარიელ კარში გაიტანა. მატჩის საუკეთესო მოთამაშედ რომ აღიარეს, შმაროვმა ჟურნალისტებს განუცხადა, აკი დაგპირდით, ამ სეზონში მინიმუმმ თხუთმეტ გოლს გავიტან, ხომ ხედავთ, გრაფიკს ვუსწრებ კიდეცო...

ტრავმის გამო თვენახევრის უთამაშებელი დევაძე როსტოველთაგან ტრადიციულად საუკეთესო კი იყო, მაგრამ ამას რომ დაცვა უდგას წინ, მტრისას და ავისას — აკაკიმ კვლავ ოთხი გოლი გაუშვა ვოლგოგრადელებისაგან, „როსტსელმაშმა“ კი მოუგებელი მატჩების სერი 13-მდე გაზარდა. „გაზოვიკ“ — „კრილია სოვეტოვის“ მატჩის 26-ე წუთზე მამუკა მინაშვილის მიერ რთული მდგომარეობიდან გატანილმა ბურთმა სტუმრებმი კი დაწინაურა, მაგრამ მერე ავალიანმა და იმავე მინაშვილმა ნაღი საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს და სამარელები დაიაჯნენ კიდეც 2:3.

მოსკოველ ავტოქარხნელთა და რკინიგზელთა მუდამ პრინციპულ მატჩს დიდი „მატერიალური“ მნიშვნელობაც ჰქონდა — თანაქალაქელები 28-28 ქულით მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფდნ. დამბულ მატჩში ყველაფერი ერთ გოლს შეეძლო გადაწყვიტა და იგი ტორპედოელმა ვუტერანმა ოლეგ შირინბეკოვმა საფირმო შორეული საჯარიმო დარტყმით გაიტანა. ამ მატჩში კიდევ ერთხელ „გამოიჩინა“ თავი მსაჯმა ბუტენკომ, რომელმაც წინა ტურში „ჩერნომორეცის“ მწვრთნელი ოლეგ დოლმატოვი მიაბრძანა ტრიბუნაზე, ახლა კი „ლოკომოტივის“ მწვრთნელი იური სიომინიც მის გზას გაუყენა, როგორ თუ მინდორს მოუახლოვდი და გვერდით მსაჯთან კამათი გაბედეო. სიომინიც, დოლმოტოვივით, უხმოდ ასულა ტრიბუნაზე.

ჩემპიონატის სტარტის ლიდერმა, ბესკოვის „დინამომ“, ოთხი ტური რომ არ გაემარჯვა, კამიშინში გატეხა ნავი: ნახევარმკელ კობელევის და თავდამსხმელ პოდალის ბრწყინვალე თამაშის წყალობით სამი ქულაც წაიღო და მეორე ადგილიც შეინარჩუნა.

„ურალმაში“ კი ცეესკასთან, მოსკოვში, ესპანეთის „რასინგში“ წასასვლელად გამზადებული ილშატ ფაიზულინის ბოლო წუთზე გატანილმა გოლმა გატეხა — ეს რუს-თათარი თავდამსხმელის საიუბილეო, მეასე მატჩი გახლდათ ჩემპიონატში. არმიელთა ხელმძღვანელობას კი იმით შეუძლიათ დაიმშვიდოს თავი, რომ ფაიზულინის ნაცვლად მალე ესპანეთის „ლერიდადან“ მობრუნებულ კუზნეცოვს შეიმატებენ, მანამდე კი კიდევ ერთ ლეგიონერი — კლუბის 1991 წლის ბომბარდირი ოლეგ სერგეევი (არაბეთის „ალ ითიჰადი“) დაუბრუნდებათ. სწორედ ამ სამეულის ბრწყინვალე თამაშმა მოუტანა ცეესკას სსრკ ჩემპიონობა 1991 წელს.

ნიჟნი ნოვგოროდში კი უკვე მეორე ტურია, ორი ბრაზილიელი თამაშობს და სილვა და დიდი ჟუნიორის მოგვარე. ორივემ ჩინებულად ითამაშა და კლუბის ქართველი მეპატრონე ომარ შარაძე სტუმრად მოპოვებული ქულით გაახარეს, რომელიც უკვე მერვე ფრეა ამ ჩემპიონატში „ლოკომოტივისთვის“.

მამუკა კვარაცხელია

ვლადიკავკაზი	16	14	0	2	41-11	42
დინამო (მ)	16	9	4	3	24-16	31
ტორპედო	16	9	4	3	22-16	31
სპარტაკი (მ)	16	9	3	4	39-19	30
ლოკომოტივი	16	8	4	4	21-15	28
როტორი	16	8	2	6	35-23	26
ცსკა	16	7	3	6	28-22	24
ტექსტილშიკი	16	5	6	5	21-17	21
ურალმაში	16	6	2	8	20-25	20
კამაზი	16	5	5	6	18-19	20
უემჩუენა	16	5	3	8	20-35	18
ჩერნომორეცი	16	5	2	9	17-29	17
ლოკომოტ. ნ.ნ.	16	2	8	6	13-20	14
გაზოვიკი	16	3	3	10	20-35	12
კრ. სოვეტოვ	16	2	6	8	16-30	12
როსტსელმაში	16	2	3	11	15-38	9

ბომბარდირები

ოლეგ ვერეტნიკოვი (როტორი) — 13
ალექს. მასლოვი (როსტსელმაში) — 11
ვლადიმირ ნიდერგაუსი (როტორი) — 9

ᲝᲢᲝ ᲡᲮᲕᲐ ᲙᲐᲪᲘᲐ...

ოტო რეჰაგელი

„ბაიერნის“ ფეხბურთელებს ახლა სიცილიც კი დაავიწყდებათ. რეჰაგელი! ის ხომ ნამდვილი ტირანია“ — ასეთი საუბარი მოისმინა „შპორტ-ბილდის“ კორესპონდენტმა თვითმფრინავში, რომელიც ჰამბურგიდან მიუნხენში მიფრინავდა.

ყველაფერი შეიძლება დაბრალო ბრემენის „ვერდერის“ ყოფილ მწვრთნელს, ოღონდ არა ტირანობა. ამას იმ ფეხბურთელთა გამონათქვამებიც მოწმობს, რომელთაც ოტო რეჰაგელის წინამძღოლობით უთამაშიათ.

რეჰაგელისთვის მთავარი ისაა, რა ღონით განიჭებს ფეხბურთი სიხარულს. ამ გარემოებას ის ყველაზე დიდ ყურადღებას აქცევს. ფეხბურთელებთან ურთიერთობაში ის ყველა სხვა მწვრთნელისგან განსხვავდება. მიხაელ შულცს დორტმუნდის „ბორუსიასა“ და „კაიზერსლაუტერნში“ უთამაშია, შემდეგ — ბრემენის „ვერდერში“. „სავსებით კანონზომიერია, რომ მწვრთნელი სამი დღე არ გელაპარაკება, როცა მის დავალებას ვერ შეასრულებ. რეჰაგელი გაგაკრიტიკებს, მეორე წუთში კი დაგიყვავებს, ეს დიდად განსხვავებს მას სხვა მწვრთნელებისგან.“ — ამბობს შულცი.

ფეხბურთელებს საოცარ შიშს გვრის სეზონისწინა შეკრებები, რადგან აქ მწვრთნელები სიქას აძრობენ ხოლმე. „დაუჯერებელია, კუთხარი ცოლს,“ — იგონებს შულცი — „ჩვენ თითქმის არ ვვარჯიშობთ. დღეს ძალიან ცხელა, ბოდით, დავიწყოთ ბიჭებო — გვეუბნება ოტო. ვერ წარმომიდგენია, სეზონს როგორ ვითამაშებთ. სხვა კლუბებში ყოფნისას სეზონის დაწყებამდე დღეში სამჯერ ვვარჯიშობდი“.

რეჰაგელი არანაირ ყურადღებას არ უთმობს ეგრეთ წოდებულ მეცნიერულ მიდგომას საწვრთნელი პროცესისადმი. „ოტმარ ჰიცფელდი ერთობ განათლებული კაცია და მეცნიერულ მიდგომას წვრთნისადმი არ უგულებელყოფდა,“ — ყვება შულცი — „მეც მჯეროდა, რომ ეს სწორი მეთოდი იყო. ჩვენ ნორმატივებს ვაბარებდით, დავრბოდით წნევისა და პულსის აპარატმიმაგრებულები, რათა უკეთესად შეგვეცნო ჩვენი შესაძლებლობები. ბრემენში გადასულს რეჰაგელმა მთელი ეს ნაგავი თავიდან გამომიბერტყა. ის ყოველთვის ამბობს, რა თავში ვიწლი კარგ ნორმატივს, როცა ამ ფეხბურთელს სწორად დარტყმა არ შეუძლია.“

ყოველდღიური ვარჯიშებისას ფეხბურთელები ერთამანეთში თამაშობენ. ოტო შეაჩერებს ხოლმე მათ, შეცდომებზე მიუთითებს და მზიარულად უბრუნდება თავის ადგილს. რეჰაგელი სერიოზულ საგნებზეც იოლად და ხალისით საუბრობს. შულცს, მაგალითად, ასე მიუთითა ნაკლზე: „ვრძელო, შენ ადონისივით სხეული გაქვს, მაგრამ რიცა ვინშეს ბურთს აწვდი, ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, ეს ყმაწვილი პინოქიოა, რომელიც სახსრებში გადამტვრიეს.“ შულცს ამ სიტყვების მერე პასის დროს მუდამ პინოქიო ედგა თვალწინ და ცდილობდა ისე ემოქმედა, მას არ დაშგაბნებოდა. ასეთი ხალისიანი და ოხუნჯური დამოძღვრა უფრო სჭრის, ვიდრე მკაცრი და მშრალი მითითებები.

ფეხბურთელთა კვების საკითხსაც რეჰაგელი ლმობიერად ეპყრობა. მისი პრინციპია: ყველამ ჭამოს ის, რაც მას მოსწონს. „როცა ჰამბურგერი მომენატრება, მაკდონალდში მივდივარ“ — ამბობს მარიო ბასლერი. „დორტმუნდში მკაცრად გვქონდა განსაზღვრული, რა გვეჭამა, რა გვსვა და რამდენი ხანი გვძინებოდა — ყვება შულცი — „კოლს“ სმა სასტიკად გვეკრძალებოდა. რეჰაგელი არაფერს კრძალავდა — თუ კი ფეხბურთელი თვლიდა, რომ „კოლს“ სმა თამაშში ხელს არ უშლიდა, შეეძლო თამაშის დღეს ამ სასმელით გაეჯერებინა.“

დორტმუნდის „ბორუსიაში“ ისეთი რეჟიმია, ფეხბურთელებს პარასკევ საღამოდან შაბათ დილამდე სიცილიც ეკრძალებათ. ამას „უმაღლესი კონცენტრაცია“ ჰქვია. კრებებზეც აკრძალული ყოფილა გაცინება. რეჰაგელი კი პირიქით, სულ ოხუნჯობაშია, „ვერდერი“ წარმოუდგენელი იყო იუმორის გარეშე. ოტოს კლასიკური იუმორი: „დღეს ჩვენ მოედანზე ვენის სიმფონიური ორკესტრივით გავალთ და თან ვიოლინების ჩასადებს გავიტანთ. სასტვენის შემდეგ ვხსნით ფუტლიარებს, ვიოლინოს მაგვრად ვიღებთ ტყვიამფრქვევებს და იწყებ რა-ტა-ტა-ტა.“

დისციპლინა რეჰაგელის გუნდში თავად ფეხბურთელზეა დამოკიდებული. იმდენი მწეველი, რამდენიც ბრემენში იყო, არცერთ გუნდს არ ჰყავდა. აილტსი, ბოროვკა, შულცი, ბასლერი — ესენი ეწევიან, მაგრამ თავის საქმეს ყოველთვის ლაზთიანად აკეთებენ, რადგანაც მწვრთნელის წნეხში არ არიან მოქცეულნი და იციან, რომ ზედმეტი სმა და სიგარეტი მათ ავნებთ. ამიტომაც იბრძოდნენ ოტოს ბიჭები მისთვის ასე თავდაუზოგავად და ისეთი ხალისით, როგორც სხვა არცერთ გუნდს არ ეტყობა.

ერეკლე კიკილაშვილი

ᲘᲜᲢᲔᲠᲢᲝᲢᲝᲡ ᲗᲐᲠᲘ

INTERTOTO CUP

I ᲯᲒᲣᲤᲘ

ბაზელი (შვეიცარია) — შეფილდ უენსდეი (ინგლისი) 1:0, ორპუსი (დანია) — გურნიკი (ზაბეჟე, პოლონეთი) 4:1;
კარლსრუე (გერმანია) — ორპუსი 3:0, გურნიკი — ბაზელი 1:2
ბაზელი — კარლსრუე 2:3, შეფილდი — გურნიკი 3:2
კარლსრუე — შეფილდი 1:1, ორპუსი — ბაზელი 2:1

კარლსრუე	3	2	1	0	7-3	7
ორპუსი	3	2	0	1	6-5	6
ბაზელი	4	2	0	2	6-6	6
შეფილდი	3	1	1	1	4-4	4
გურნიკი	3	0	0	3	4-9	0

22-23 ივლისი. შეფილდი — ორპუსი, გურნიკი — კარლსრუე

II ᲯᲒᲣᲤᲘ

ოსტერსი (ვექშე, შვედეთი) — კიოლნი (გერმანია) 0:0, ტოტენჰემ ჰოთსპური (ლონდონი, ინგლისი) — ლუცერნი (შვეიცარია) 0:2
რუდარი (ველნიე, სლოვენია) — ტოტენჰემი 1:2, ლუცერნი — ოსტერსი 3:2
ოსტერსი — რუდარი 3:3, კიოლნი — ლუცერნი 2:2
რუდარი — კიოლნი 0:1, ტოტენჰემი — ოსტერსი 1:2

ლუცერნი	3	2	1	0	7-4	7
კიოლნი	3	1	2	0	3-2	5
ოსტერსი	4	1	2	1	7-7	5
ტოტენჰემი	3	1	0	2	3-5	3
რუდარი	3	0	1	2	4-6	1

22-23 ივლისი. კიოლნი — ტოტენჰემი, ლუცერნი — რუდარი.

III ᲯᲒᲣᲤᲘ

ჰავნარ ბოლტფულაგი (ტორსჰავნი, ფაროერები) — უნივერსიტატი (კლუჟი, რუმინეთი) 0:0, არაუ (შვეიცარია) — ტრომსო (ნორვეგია) 2:2
ეკერენი (ბელგია) — არაუ 3:3, ტრომსო — ჰავნარი 10:0
ჰავნარი — ეკერენი 1:1, უნივერსიტატია — ტრომსო 0:1
ეკერენი — უნივერსიტატია 4:1, არაუ — ჰაფნარი 6:1

ტრომსო	3	2	1	0	13-2	7
არაუ	3	1	2	0	11-6	5
ეკერენი	3	1	2	0	8-5	5
ჰაფნარი	4	0	2	2	2-17	2
უნივერსიტატია	3	0	1	2	1-5	1

22-23 ივლისი. ტრომსო — ეკერენი, უნივერსიტატია — არაუ.

IV ᲯᲒᲣᲤᲘ

ბეკეშჩაბა (უნგრეთი) — უნიაუ (ლუირა, პორტუგალია) 2:2, პერენვეენი (პოლანდია) — ნესტვედი (დანია) 2:1
ტონ-პეტრი (უელსი) — პერენვეენი 0:7, ნესტვედი — ბეკეშჩაბა 3:3
ბეკეშჩაბა — ტონ-პეტრი 4:0, უნიაუ — ნესტვედი 1:1
ტონ-პეტრი — უნიაუ 0:3, პერენვეენი — ბეკეშჩაბა 4:0

პერენვეენი	3	3	0	0	13-1	9
უნიაუ	3	1	2	0	6-3	5
ბეკეშჩაბა	4	1	2	1	9-9	5
ნესტვედი	3	0	2	1	5-6	2
ტონ-პეტრი	3	0	0	3	0-14	0

22-23 ივლისი. უნიაუ — პერენვეენი, ნესტვედი — ტონ-პეტრი.

V ᲯᲒᲣᲤᲘ

ბოპემიანი (დუბლინი, ირლანდია) — ოდენსე (დანია) 0:2, ნორჩიოპინგი (შვედეთი) — ჰ.ი.კ. (ჰელსინკი, ფინეთი) 1:1
ბორდო (საფრანგეთი) — ნორჩიოპინგი 6:2, ჰელსინკი — ბოპემიანი 3:2
ბოპემიანი — ბორდო 0:1, ოდენსე — ჰელსინკი 2:1
ბორდო — ოდენსე 4:0, ნორჩიოპინგი — ბოპემიანი 5:0

ბორდო	3	3	0	0	11-2	9
ოდენსე	3	2	0	1	4-5	6
ჰელსინკი	3	1	1	1	5-5	4
ნორჩიოპინგი	3	1	1	1	8-7	4
ბოპემიანი	4	0	0	4	2-11	0

22-23 ივლისი. ჰელსინკი — ბორდო, ოდენსე — ნორჩიოპინგი.

VI ᲯᲒᲣᲤᲘ

კეფლავიკი (ისლანდია) — მეცი (საფრანგეთი) 1:2, ლინცერ ა.ს.კ. (ავსტრია) — პარტიკ თისლი (გლაზგო, შოტლანდია) 2:2
ზაგრები (ხორვატია) — ლინცერი 0:0, პარტიკ თისლი — კეფლავიკი 3:1
მეცი — პარტიკ თისლი 1:0, კეფლავიკი — ზაგრები 0:0
15-16 ივლისი. ზაგრები — მეცი 1:0, ლინცერი — კეფლავიკი 2:1

მეცი	3	2	0	1	3-2	6
ლინცერი	3	1	2	0	4-3	5
ზაგრები	3	1	2	0	1-0	5
პარტიკ თისლი	3	1	1	1	5-4	4
კეფლავიკი	4	0	1	3	4-6	1

22-23 ივლისი. მეცი — ლინცერი, პატრიკ თისლი — ზაგრები.

VII ᲯᲒᲣᲤᲘ

ტერვისი (ბიბინუ, ესტონეთი) — ბუდუწნოსტი (პოდგორიცა, იუგოსლავია) 1:3, ოფი (ვრეტა, საბერძნეთი) — ნეა სალამინა (ფამაგუსტა, კვიპროსი) 2:1
ბაიერი (ლევერკუზენი, გერმანია) — ოფი 1:0, ნეა სალამინა — ტერვისი 2:0
ტერვისი — ლევერკუზენი 1:6, ბუდუწნოსტი — ნეა სალამინა 1:1
ლევერკუზენი — ბუდუწნოსტი 3:0, ოფი — ტერვისი 2:0

ლევერკუზენი	3	3	0	0	10-1	9
ოფი	3	2	0	1	4-2	6
ბუდუწნოსტი	3	1	1	1	4-5	4
ნეა სალამინა	3	1	1	1	4-3	4
ტერვისი	4	0	0	4	2-13	0

22-23 ივლისი. ნეა სალამინა — ლევერკუზენი, ბუდუწნოსტი — ოფი.

VIII ᲯᲒᲣᲤᲘ

პოგონი (შჩეცინი, პოლონეთი) — კანი (საფრანგეთი) 1:2, ბეჩეი (იუგოსლავია) — ფარული (კონსტანცა, რუმინეთი) 1:2
დნეპრი (მოგილიოვი, ბელარუსი) — ბეჩეი 2:1, ფარული — პოგონი 2:1
კანი — ფარული 0:0, პოგონი — დნეპრი 3:3
დნეპრი — კანი 2:2, ბეჩეი — პოგონი 2:1

ფარული	3	2	1	0	4-2	7
დნეპრი	3	1	2	0	7-6	5
კანი	3	1	2	0	4-3	5
ბეჩეი	3	1	0	2	4-5	3
პოგონი	4	0	1	3	6-9	0

22-23 ივლისი. კანი — ბეჩეი, ფარული — დნეპრი.

IX ᲯᲒᲣᲤᲘ

ბობი (ბრნო, ჩეხეთი) — გრონინგენი (პოლანდია) 1:2, ჩაპლაული (პიატრანიამტი, რუმინეთი) — ეტარი (ტირნოვო, ბულგარეთი) — 2:0
ბევერენი (ბელგია) — ჩაპლაული 0:2, ეტარი — ბობი 3:2
ბობი — ბევერენი 3:2, გრონინგენი — ეტარი 3:0
ბევერენი — გრონინგენი 2:2, ჩაპლაული — ბობი 2:0

ჩაპლაული	3	3	0	0	6-0	9
გრონინგენი	3	2	1	0	7-3	7
ბობი	4	1	0	3	6-9	3
ეტარი	3	1	0	2	3-7	3
ბევერენი	3	0	1	2	4-7	1

22-23 ივლისი. ეტარი — ბევერენი, გრონინგენი — ჩაპლაული.

X ᲯᲒᲣᲤᲘ

ბეითარი (იერუსალიმი, ისრაელი) — შარლერუა (ბელგია) 0:1, უიმბლდონი (ლონდონი, ინგლისი) — ბურსასფორი (თურქეთი) 0:4
კოშიცე (სლოვაკეთი) — უიმბლდონი 1:1, ბურსასფორი — ბეითარი 2:0
შარლერუა — ბურსასფორი 0:2, ბეითარი — კოშიცე 3:5
კოშიცე — შარლერუა 3:2, უიმბლდონი — ბეითარი 0:0

ბურსასფორი	3	3	0	0	8-0	9
კოშიცე	3	2	1	0	9-6	7
შარლერუა	3	1	0	2	3-5	3
უიმბლდონი	3	0	2	1	1-5	2
ბეითარი	4	0	1	3	3-8	1

22-23 ივლისი. შარლერუა — უიმბლდონი, ბურსასფორი — კოშიცე.

XI ᲯᲒᲣᲤᲘ

ფლორიანა (მალტა) — ტიროლი (ინსბრუკი, ავსტრია) 0:4, გენჩლერბირლიგი (ანკარა, თურქეთი) — პაპოელი (ფეთაბოიქვა, ისრაელი) 4:0
სტრასბური (საფრანგეთი) — გენჩლერბირლიგი 4:1, პაპოელი — ფლორიანა 1:1
ფლორიანა — სტრასბური 0:4, ტიროლი — პაპოელი 2:0
სტრასბური — ტიროლი 4:0, გენჩლერბირლიგი — ფლორიანა 3:0

სტრასბური	3	3	0	0	12-1	9
გენჩლერბირლიგი	3	2	0	1	8-4	6
ტიროლი	3	2	0	1	6-4	6
პაპოელი	3	0	1	2	1-7	1
ფლორიანა	4	0	1	3	1-12	1

22-23 ივლისი. პაპოელი — სტრასბური, ტიროლი — გენჩლერბირლიგი.

XII ᲯᲒᲣᲤᲘ

სპარტაკი (პლოვდივი, ბულგარეთი) — აინტრახტი (ფრანკფურტი, გერმანია) 0:4, ფორვარტსი (შტირი, ავსტრია) — ირაკლისი (სალონიკი, საბერძნეთი) 3:0
პანერისი (ვილნიუსი) — ფორვარტსი 1:1, ირაკლისი — სპარტაკი 0:0
აინტახტი — ირაკლისი 5:1, სპარტაკი — პანერისი 3:0
პანერისი — აინტრახტი 0:4, ფორვარტსი — სპარტაკი 2:0

აინტრახტი	3	3	0	0	13-1	9
ფორვარტსი	3	2	1	0	6-1	7
სპარტაკი	4	1	1	2	3-6	4
პანერისი	3	0	1	2	1-8	1
ირაკლისი	3	0	1	2	1-8	1

22-23 ივლისი. აინტრახტი — ფორვარტსი, ირაკლისი — პანერისი.

რაც მოგვდგამს, იმან გამოგვაჩინოს

7 ივლისს საქართველოს დელეგაცია თბილისიდან ევროპის ახალგაზრდობის III ოლიმპიურ დღეებზე (ეაოდ) გაემგზავრა. ზუსტად 24 საათის შემდეგ, მოსკოვის გავლით, უკვე ლონდონში, „ჰიროუს“ აეროპორტში ვიყავით. ადრე, სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებზე გამგზავრებისას, ქართველებს რამე კურიოზული აუცილებლად შეგვემთხვეოდა ხოლმე. ამჯერად კი ინგლისს იმდენად მშვიდობიანად ჩავაღწიეთ, რომ მოგზაურობის ჯერჯერობით მთავარ კურიოზად სწორედ ეს ამბავი მოვნთლეთ. ლონდონში სეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი დაგვხვდა. სპორტსმენები, მწვრთნელები და ოფიციალური პირები პირდაპირ ბათში გაემგზავრნენ, ხოლო ჟურნალისტებს (ტელეჟურნალისტ თამარ ბალავაძეს, გაზეთ „ოლიმპიელის“ რედაქტორს ავთანდილ გურასაშვილს და ამ სტრიქონების ავტორს) სიურპრიზი გველოდა: სეოკ-ის პრეზიდენტმა ქალბატონმა ნონა გაფრინდაშვილმა და ბატონმა ემზარმა ლონდონში ერთი დღით დაგვტოვეს. შემდეგ კი, დიდი ბრიტანეთის დედაქალაქიც დაგვთვალიერებინეს, რა თქმა უნდა, იმ ფარგლებში, რისი საშუალებაც იქ ყოფნის ერთდღიანმა გრაფიკმა მოგვცა. აქვე აღვნიშნავთ, რომ სეოკ-ის ხელმძღვანელებს ამ საქმეში დიდად დაეხმარნენ „სარბიელის“ ლონდონელი კორესპონდენტები დავით მჭედლიშვილი და ზურაბ მეძველია, რომლებიც უკვე ჩინებულად ერკვევიან იმ ქალაქის ყველა კუთხე-კუნჭულში.

ლონდონი რომ კარგი ქალაქია, ამაში ჩემი რწმუნება ნამდვილად არ გჭირდებათ. მაგრამ ჩვენ გონებით უკვე ბათში ვიყავით, სადაც მალე მესამე ეაოდ-ი უნდა გახსნილიყო და ქართველი ათლეტებიც უნდა გამოსულიყვნენ. 9 ივლისის დილას კვიპროსის დელეგაციას ავტობუსით დავემგზავრეთ და ორი საათის შემდეგ ბათში ვიყავით.

თუ რა და როგორი ქალაქია ბათი, ამას მომდევნო „სარბიელში“ მოგახსენებთ. იქვე გაეცნობით ეოად-ის გახსნისწინა მოვლენებსა და თავად გახსნის ცერემონიალს მიმდინარეობას, რომელმაც განსაცვიფრებლად ცუდი შთაბეჭდილება დატოვა. ამჯერად კი სპორტულ მხარეზე ვისაუბროთ, უფრო სწორად კი ქართველთა გამოსვლაზე III ეაოდ-ზე.

წინა, II ოლიმპიური დღეები, რომელიც ჰოლანდიის ქალაქ ვალენსვაარდში ჩატარდა, უფრო მცირერიცხოვანი აღმოჩნდა. მასში 43 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. საქართველო კი 80-კაციანი დელეგაციით იყო წარდგენილი და საბოლოოდ, თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს დასჯერდა. ჰოლანდიაში, შეგახსენებთ, მედლები 31 ქვეყნის წარმომადგენლებმა მოიპოვეს, ქართველები კი საერთო სიაში 29-ენი იყვნენ.

ბათში უკვე 47-მა ქვეყანამ მოავლინა სპორტსმენები (ევროპის ყველა სახელმწიფომ, სადაც კი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები არსებობს, გარდა მონაკოსი). მედლები 35 ქვეყანას შორის განაწილდა და ქართველებმა საერთო ჯამში მე-19 ადგილი დაიკავეს. მართალია, ზუთივე მოპოვებული მედალი ძიუდოისტებზე მოდის, მაგრამ მაინც სასურველია, როცა, მაგალითად, იმხელა სპორტული გიგანტი, როგორიც გერმანიაა, მხოლოდ ერთი „ბრინჯაოთი“ გვჯობნის. ხოლო შენს უკან ისეთი ქვეყნები დგანან, რომლებიც შენზე ბევრად დიდები, მდიდრები, ყველაფრით უზრუნველყოფილნი, გამოკვებილნი და მომზადებულნი არიან (იხილეთ გუნდური შედეგები წინა „სარბიელში“).

საქართველომ ბათში სპორტის 6 სახეობის 20 სპორტსმენი მიავლინა. სამწუხაროდ, ძალზე სუსტად ასპარეზეს მძლეოსნებმა, მოცურავემ და ტანმოვარჯიშეებმა. არადა, ეს უკანასკნელნი ჰოლანდიაში წარმატებით გამოვიდნენ — გუნდურ ასპარეზობაში 32 ქვეყანას შორის მერვენი იყვნენ. ამჯერად კი 34-დან მხოლოდ ოცდამესამენი იყვნენ. წინა ორი სახეობის წარმომადგენლები კი საკვალიფიკაციო წრეს ვერ გასცდნენ. ამ ფონზე მეტ-ნაკლებად გამოჩნდა ველოსიპედისტ რობერტ ცხოვრებაძის შედეგი (საუკეთესო ჰქონდა საზატკეცილო რბოლაში: 35-ე 70 მონაწილეს შორის). თუმცაღა, რობერტი ალბათ თავიდანვე განწირული იყო წასაგებად. სხვა ყველაფერს რომ შევეშვათ, თუნდაც ის იკმარებს, რომ იგი ძველებურ, მრავალნაცად „სპორტს“ დაგელვებდა, როცა მისი უცხოელი თანატოლები იმგვარ ველოსიპედებზე იყვნენ შემომსხდარი, პროფესიონალები ამ დღეებში „ტურ დე ფრანსზე“ რომ დაჭრიან.

ბევრი რომ არ გავგრძელოთ, ზემოთჩამოთვლილ სახეობებში აშკარად ვერ ვიკვარგეთ. ამას, ცხადია, უამრავი მიზეზი აქვს, რომელთა ამჯერად გამორკვევა ჩვენ მიზნად არ დაგვისახავს. ამისთვის არსებობენ მწვრთნელები, სპეციალისტები, ფედერაციის ხელმძღვანელები, რომლებიც, ალბათ, ყველაფერს გაანალიზებენ და იმედი ვიქონიოთ, გამოსავალსაც იპოვიან.

სანამ ჩვენი სპორტსმენების წარმატებებზე მოგითხრობთ, ერთ დეტალს შევნიშნავთ. ქართველი სპორტსმენების ინგლისში გამგზავრება-ეკიპირების ხარჯები მთლიანად სეოკ-მა იკისრა. ეს ფაქტი ძალზე უკვირდათ აყვავებულ ქვეყნებში მცხოვრებ ჩემს კოლეგებს. თავიანთი დელეგაციების დამფინანსებლად ისინი ძირითადად ამა თუ იმ სახეობის ფედერაციებს, ხოლო ზოგ შემთხვევაში თავ-თავიანთ ეოკ-ებსა და მათ სპონსორებს ასახელებდნენ. გასაოცარი ამბავი შევიტყვეთ რუსეთის დელეგაციისგან: ამ ქვეყნის ოლიმპიურმა კომიტეტმა, რომელიც არც ფულს უჩივის და არც სპონსორებს, სპორტსმენთა ყველა ხარჯი ცალკეულ ფედერაციებს დააკისრა. ათლეტებს ქვეყნის ეოკ-ის სიმბოლიკის გამოყენებაც აუკრძალა და თან თავი დამადლა, თქვენთვის ისიც დიდი საჩუქარია, ინგლსში წასვლის და ასპარეზობის საშუალება რომ მოგეცითო.

თუმცა, ეს რა ჩვენი საქმეა. ყველას თავისი გზა აქვსდა თავის ავან-ჩავანსაც უკეთ მიხედავს. ჩვენ კი, ალბათ დრო, იმათზე გესაუბროთ, ვინც ქართველთაგან ყველაზე მეტად გამოიჩინა თავი. სამწუხაროდ, ბათში ასეთები მხოლოდ ორ სახეობაში აღმოჩნდნენ — ჩოგბურთსა და, პირველ რიგში, ძიუდოში.

ჩოგბურთი

ბიჭები. ირაკლი უშანგიშვილი. IV ადგილი

1/16. უშანგიშვილი — ტუკანსი (ლატვია) 7:5, 6:4, 1/8 — ვიდოვიჩი (იუგოსლავია) 6:4, 4:6, 7:5; 1/4 — ტურსუნოვი (რუსეთი) 6:2, 6:1; 1/2 — ნიკოდიმი (რუმინეთი) 5:7, 3:6. III ადგილისთვის — კარანუშიჩი (ხორვატია) 4:6, 5:7.

ვერც ჩოგბურთზე საუბრისას გავექცევი წინა ეაოდ-ის მაგალითს. საშუალება მქონდა ვალენსვაარდში თვალი მედევნებინა ჩოგბურთელთა ტურნირისთვის. იქ 15 წლამდე (1978 წ. დაბადებული) გოგო-ბიჭები ასპარეზობდნენ. პირველი, რაც თვალში გეცემოდა, ბავშვების არაჩვეულებრივი ფიზიკური მონაცემები იყო. ბათში ჩოგბურთელთა ასაკი შემცირდა — აქ 13 წლისებს (1982 წ. დაბადებულებს) უწევდათ ასპარეზობა. ჩემი აზრით, ამ ორ წელიწადში ჩოგბურთი ისე განვითარდა, რომ „ბათელი“ სპორტსმენები ფიზიკურად ძლიერები იყვნენ „ვალენსვაარდელებზე“.

ფიზმომზადება ხომ ქართველ სპორტსმენთა სუსტი წერტილია და, ჩოგბურთელები რაღა გამონაკლისი იქნებოდნენ. ირაკლი უშანგიშვილი ამ კომპონენტში უკლებლივ ყველა მეტოქეს ჩამოუვარდებოდა. პირველ წრეში იგი ჯანიან ლატვიელ ტუკანსს შეხვდა და, თამამად შეიძლება ითქვას, ჯიგრით მოუგო. სამაგიეროდ, მეორე წრეში, იუგოსლავ მეტოქესთან, ასაკის პირობაზე საკმაოდ გონიერ ტაქტიკურ მებრძოლად წარმოგვიდგა. პირველ სეტში, სანამ ენერგია ჰყოფნიდა, ქართველმა იქით შეავიწროვა ვიდოვიჩი და დამაჯერებლად მოუგო. მერე დაიღალა და ტანმაღალმა იუგმა უკვე აქეთ მოახვია თავს საკუთარი ტაქტიკა. აქ ირაკლიმ თავისით მიიღო ჭკვიანური გადაწყვეტილება (ცხადია, თავისთან, რადგან მწვრთნელს არათუ რჩევის მიცემისთვის, ლამის იყო, ემოციის გამოხატვისთვისაც ჯერ აფრთხილებდნენ, შემდეგ კი კორტს ატოვებინებდნენ): თავად აღარ შეუტია, ხოლო მეტოქეს თითქმის მოედნის კიდეზე უგდებდა ნელ, მაღალ ბურთებს. ვიდოვიჩი გაბეზრდა ამგვარი მონოტონური თამაშით, მოთმინება აღარ ეყო და მოუმზადებელი დარტყმები დაიწყო. ირაკლის ბოლომდე არ უღალატია ერთხელ არჩეული გზისთვის და მომჭანცველი, 2 საათი და 30 წუთიანი მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანა. აღსანიშნავია, რომ ვიდოვიჩი ამ ტურნირზე პირველ ნომრად იყო განთესილი.

მეოთხედფინალში ჩვენს ჩოგბურთელს მოსკოველი ტურსუნოვი შეხვდა, რომელიც თანატოლებში რუსეთის პირველი ნომერია. უშანგიშვილის მწვრთნელ გურამ თოხაძეს ყველაზე მეტი ინფორმაცია ამ ჩოგბურთელზე ჰქონდა და კარგად უწყოდა მისი ძლიერი თუ სუსტი მხარეები. ერთს შიშობდა ბატონი გურამი, ტურსუნოვი ფიზიკურად ძლიერია და შეგირდი სწორედ ამის წყალობით არ დამიჩაგროსო. არ ვიცი, რას ფიქრობდა რუსის მწვრთნელი, ან რა დარიგა თავის შეგირდს, მაგრამ ვინ იყო იმ დღეს ფიზიკურად ძლიერი, კარგად გამოჩნდა: ირაკლიმ ერთი ამოსუნთქვით ითამაშა და რაღაც 45 წუთში საქმე მოამთავრა. აღელვებული ტურსუნოვი მატჩის შემდეგ იმასღა იძახდა, რა ჩემი ბრალია, ქართველმა არაფერი გამაკეთებინაო. მისი მწვრთნელები კი ბატონ გურამთან მივიდნენ და მოლიცვის შემდეგ გაეხუმრნენ: ნიკალავეიჩ, პირწმინდად კი გვაჯობეთ, მაგრამ ბანკეტი არ გამოგვაპაროთო.

ჩოგბურთელთა ტურნირი ძველი წესით რომ ჩაეტარებინათ, ანუ ორი მესამე ადგილი გაეთამაშებინათ, უშანგიშვილს უკვე გარანტირებული ექნებოდა მედალი. მაგრამ ინგლისელებმა სხვაგვარად განსაჯეს და ნახევარფინალში წაგებულების თამაშიც გადაწყვიტეს მესამე ადგილისთვის. ნახევარფინალში ირაკლის რუმინელი ნიკოდიმი შეხვდა, რომელიც ამ შეჯიბრების ჩემპიონი გახდა. აქ კი იჩინა თავი ჩვენი ჩოგბურთელის ცალკე ფიზიკურმა მოუმზადებლობამ, ცალკე — გამოუცდელობამ. რა ხერხი არ სცადა უშანგიშვილმა, როგორ არ შეუცვალა რუმინელს ტაქტიკა — მაინც არაფერი გამოუვიდა. ნიკოდიმს ყველაფერზე კონტრილეთი ჰქონდა გამზადებული. მას ფსიქოლოგიური მომზადებაც უკეთესი აღმოაჩნდა, ნერვები — უფრო მტკიცე და ამიტომაც სძლია ჩვენი ჩოგბურთელი, რითაც ფინალისკენ და, როგორც მოგახსენეთ, ჩემპიონობისკენ გაიხსნა გზა.

უშანგიშვილს კი მესამე ადგილისთვის ერთ საათში მოუწია თამაშმა. მისი აქ დამარცხება ალბათ ლოგიკურიც იყო, რადგან მთელი ტურნირის დაღლილობას თან დერთო ის ფსიქოლოგიური სტრესი, ნახევარფინალში რომ მიიღო. ნუ დაგვავიწყდება, რომ ირაკლი ზოლოდ 13 წლისაა და ჩოგბურთში ჯერჯერობით ბევრი არაფერი უნახავს — ხვირიან ტურნირებზე აქამდე ერი-ორჯერ თუ იქნებოდა გამოსული. თუმცაღა, მისი მეოთხე ადგილი უდაოდ დიდი წარმატებაა, რადგან ბათში მოასპარეზეთა კომპანიაში პირველ წრეში გამოვარდნაც არ უნდა გაკვირვებოდა კაცს.

გოგონები. მაკა ჩახნაშვილი VI ადგილი

1/16. ჩახნაშვილი — გუმუშჯუ (თურქეთი) 6:1, 6:0; 1/8 — ვულეტიჩი (იუგოსლავია) 7:6, 6:3; 1/4 — დანილიდუ (საბერძნეთი) 1:6, 2:6; დამამშვიდებელი ტურნირი — სამოილენკო (რუსეთი) 7:5, 6:4; V ადგილისთვის კუჩოვა (სლოვაკეთი) 3:6, 4:6.

პირველად, როცა ტურნირის მონაწილე გოგონებს შევხვედ და ჩვენს მაკა ჩახნაშვილს „ბაბარიტებით“ შევადარე, ვიფიქრე, ემანდ თამაშისას ბურთი არ მოარტყან და ბავშვი არ დაგვშავონ-მეთქი. ანატომიაში ჩემი ცოდნა ძალზე მწირია, ამიტომაც მოშლილი ფირფიტასავით ერთს გავიძახოდი — ეს 13 წლის გოგონები ამოდენები როგორ გაიზარდნენ-მეთქი. მაგალითად, ტურნირის ჩემპიონი ხორვატი მარიანა ლუკიჩი ავიღოთ. ეს იყო შტეფი გრაფის ზუსტი ასლი, ოღონდ ცხვირი ჰქონდა გაცილებით მოკლე. ამ გოგოს შერეულ წყვილთა ასპარეზობისას ვაკვირდებოდი — სამი წრე ისე გაიარა, თავის პარტნიორ ბიჭს ხელი არ გაანძრევინა, ხოლო მეტოქეების წყვილ ბიჭებს გაცილებით სჯობნიდა სისწრაფეშიც და გამძლეობაშიც. სხვათა შორის, ლუკიჩი — კარანუშიჩის წყვილმა პირველ წრეში ჩახნაშვილი-უშანგიშვილის დუეტს 6:4, 6:1 მოუგო, უფრო სწორად, ეს გამარჯვება მარტო მარიანამ იზეიმა.

ასე იყო თუ ისე, მაკას პირველ მეტოქედ თურქი ჩოგბურთელი შეხვდა, რომელსაც კარგი გაკვეთილი ჩაუტარა, რაზეც ანგარიში მეტყველებს. მეორე წრეში, უშანგიშვილს დარდ ანაშვილიც იუგოსლაველს ეთამაშა. პირველ სეტს მაკა 3:5 აგებდა, მაგრამ როგორღაც მოახერხა და საქმე თაი-ბრეიქამდე მიიყვანა. იქ კი ვულეტიჩს იოლად გაუსწორდა. ეს სათქმელადაა იოლი, თორემ თითო ბურთის გათამაშებას ლამის 3-4 წუთს უნდებოდნენ. ეს შეხვედრა გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ვაჟების ქართულ-იუგოსლავიურ დუელს. მაკამაც „ჩასაფრების პოლიტიკა“ ირჩია და ისეთ დღეში ჩააგდო მეტოქე, ეს უკანასკნელი ნებისმიერ ბურთს ან აუტში, ანაც ბადეში გზავნიდა. მე არ ვიცი, საიდან აღმოაჩნდა ამ პატარა გოგონას (რომელსაც ჩვენი მისიის ხელმძღვანელი თამაზ თევზაძე მოფერებით „ცქნაფას“ ეძახდა) ამდენი მოთმინება და ძალა — მატჩმა 2 საათსა და 45 წუთს (!) გასტანა.

მეოთხედფინალი ჩახნაშვილმა მაშინ დაიწყო, როცა უშანგიშვილმა ტურსუნოვს მოუგო და, თუ გახსოვთ, რუსმა მწვრთნელებმა გურამ თოხაძეს ბანკეტზე დაპატიჟება რომ სთხოვეს. მაკას მეოთხედფინალი რომ მოეგო, ალბათ ბატონი გურამი კი არა, დელეგაციის უკლებლივ ყველა წევრი სათითაოდ ვიკისრებდით ბანკეტს. მისი მეტოქე, ბერძენი დანილიდუ აღრეც მყავდა შემჩნეული რამდენიმე ადგილას (ოღონდ არა კორტზე) და მწვრთნელი, ანაც ოფიციალური პირი მეგონა. როცა იგი კორტზე გამოვიდა და მოთელვაზე ბურთის მოწოდება დაიწყო, ცხადი გახდა, რომ მაკა ამ დევ-ქალს დიდ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. არადა, ბერძნის ტექნიკურ-ტაქტიკური არსენალი მაინცდამაინც მდიდარი არ ყოფილა. იმდენად დიდი იყო მისი უპირატესობა ფიზიკურ მონაცემებში, რომ მატჩის ბედი პირველი გეიმებიდანვე გარკვეული აღმოჩნდა.

შემდეგ მაკამ დამამშვიდებელ ტურნირში გაგრძელა ასპარეზობა, ერთი მატჩი მოიგო, ერთიც წაგო და საბოლოოდ მეექვსე ადგილზე დარჩა. მიუხედავად ამისა, ვერავის მოუბრუნდებოდა ენა მისთვის საყვედურის სათქმელად. პირიქით, ბათში მყოფი ყველა ქართველი მაკას უზომოდ მადლობელი იყო.

სანამ ჩვენი ჩოგბურთელები ყოველდღიური ბრძოლებით შემდეგი ეტაპებისკენ იკვლევდნენ გზას, 4 მილის დაშორებით ქართველი ძიუდოისტები მედალს მედალზე იგებდნენ და „საძიუდოო ევროპას“ ნელ-ნელა სათავეში ექცეოდნენ.

ძიუდო

ვიდრე ტურნირის ამბებს დაწვრილებით განვიხილავდეთ, იმ კაცს მოვუსმინოთ, ვისაც „უმთავრესი წვლილი მიუძღვის ჩვენი ძიუდოისტების გამარჯვებაში. გვესაუბრება საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ჯემალ ნათელაშვილი:

„ინგლისში გამოვედით ბრწყინვალედ, მით უმეტეს, ჩვენი გაჭირვებიდან გამომდინარე. ისე არ გამიგოთ, თითქოს ჩვენს ცუდ ყოფას ვინმეს თავზე ვახვევდე, ყველას შეუძლია იგივე თქვას. უბრალოდ, დღევანდელი სიტუაციის ფონზე ამ ბიჭების გამოსვლა დიდი ვაჟკაცობაა, მათ ყველაფერი გაკეთეს თავისი ქვეყნის სასახელოდ. გაიხსენეთ, რამდენი ხანია ქართველი ძიუდოისტები ამდენი მედლით არ დაბრუნებულან არცერთი შეჯიბრებიდან.

ეს გუნდი იანვარში ჩავიბარე. აპრილში ბრესტში წავედით საერთაშორისო ტურნირზე. იქ ჩვენების დონე რომ ვნახე, დავფიქრდი. თბილისში დაბრუნებისთანავე ფედერაციაში მივედი და ვთქვი: ამ ხალხით ინგლისში ჩასვლა არ შეიძლება-მეთქი. ძალიან უსუსურები, მოუმზადებელნი და გამოუცდელები იყვნენ. ის-ის იყო, ოლიმპიური კომიტეტისთვის გამგზავრებაზე უარის თქმას ვაპირებდით, რომ ერთი შეკრების ჩატარების საშუალება მოგვეცა. დავიწყეთ ფიზიკური მომზადებით. მერე ნელ-ნელ ჩვენი მეგობრები, ყოფილი მოჭიდავეები ბერდია გუგავა, როინ ოღიშელიძე, თემურ ხუბულური, დილარ ხაბულიანი და სხვები გვერდში ამოგვიდგნენ,

ირაკლი უშანგიშვილი

მაკა ჩახნაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოსვლამდე ოთხი შეკრების გამართვა მოვახერხეთ. ბიჭებმა კარგად იშრომეს, ძალები ირწმუნეს. გული იმაზე მწყდება, რომ ორი ძიუდოისტი უმედლოდ დარჩა. არადა, მათზე პირველ რიგში ვამყარებდით იმედებს. დიდი მადლობა მოჭიდაკეებს და იმ ხალხს, ვინც გვერდით ამოგვიდგა. საერთო ძალისხმევით ჩვენ გავიმარჯვეთ!"

60 კგ. ფირუზ ტყეშელაშვილი
II ადგილი

I — დაისვენა. II — ბასტია (რუმინეთი) 5:0, III — ზარეცკი (რუსეთი) 10:0, IV — ნოვიკი (ბელარუსი) 10:0, ფინალი — ნილი (დიდი ბრიტანეთი) 0:7.

ფირუზ ტყეშელაშვილი პირველი ჩაება შეჯიბრებაში და ბათში საქართველოს დელეგაციას პირველი მედალი მოუტანა. რუს ზარეცკისთან მისი საქმე თავიდან ცუდად იყო: უყურადღებობის გამო მეტოქეს ვაზარი დაუთმო, მაგრამ მერე დროზე გამოფხიზლდა და უკუგდებით წმინდად გაიმარჯვა. ასევე წმინდად მოიგო ფინალში გადასვლელი შეხვედრა: ბელარუსი ნოვიკი კისრულით დაგდო.

ფინალში ტყეშელაშვილის მეტოქე, ნილი, ქალაქურად რომ ვთქვათ, „დუხარიკი" იყო. მეტოქეს პირველ რიგში ფსიქოლოგიურად დაჩაგრავდა ხოლმე. ფინალიც ნილმა რიხით დაიწყო. პირველივე შერკინებისას მოკიდა თუ არა ხელი ფირუზს, ვაზარი აართვა. შემდეგ ჩვენი ფალავანი გაზელდა: ერთი კოკა მიითვალა, ორიც — იუკო, მეტოქეც გვარიანად დაღალა, მაგრამ მომავალ ჩემპიონს იმდენი ძალა მაინც შერჩა, ტყეშელაშვილის შეტევებისთვის რომ გაეძლო.

55 კგ. დავით ჯავახიშვილი.
I ადგილი

I — ლაპტინენი (ფინეთი) 10:0, II — უუსკულა (ესტონეთი) 10:0, III — მანუკიანი (სომხეთი) 7:0, IV — სტანევი (რუსეთი) 1:0, ფინალი — ბოონენი (ბელგია) 10:0.

ეს მოხდა 11 ივლისს, ადგილობრივი დროით 15 საათსა და 06 წუთზე. დავით ჯავახიშვილმა იპონზე დაგდო ბელგიელი ბოონენი. ამით საქართველოს სპორტის ისტორიაში იშვა ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური დღეების პირველი ჩემპიონი.

დათომ პირველი და მესამე წრე იოლად გაიარა — ფინელი კისრულით იპონზე დახეთქა, ხოლო სომეხი მაჯიდან ჩავლებით აიკიდა და ვაზარი აართვა. მეორე წრეში კი იუკოს აგებდა, მაგრამ ესტონელი ძიუდოისტი მაინც შებოჭა. ფინალში გასასვლელ შეხვედრაშიც თავიდანვე დაწინაურდა იუკოთი. მოგვიანებით სტანევმა ისევი ილეთი ჩაატარა, კოკას რომ იმსახურებდა, მაგრამ მსაჯებმა იუკოთი შეუფასეს. შეხვედრა დასრულდა, მაგრამ როცა ხანტეის დრო დადგა, სამივე მსაჯმა უპირატესობა ჯავახიშვილს მიანიჭა.

ფინალის წინ დათო მეტისმეტად თავდაჯერებული და არხეინი იყო. მალი-მალ საათზე მიმითითებდა ხოლმე და მეტყოდა, ნაწე, ამა და ამ დროის მერე საქართველოს პიმნს დავაკვრევინებო. ერთხელაც არ გა-

დავით ჯავახიშვილი

დაიბადა 1978 წლის 24 აპრილს სოფელ შინდისში. ვარჯიში დაიწყო 1986 წელს თამაზ გოგინაშვილთან და გიორგი ალექსანიანთან. ახლა ანზორ მარგველანთან იწვრთნება. საქართველოს ოთხ-ოთხგზის ჩემპიონი ძიუდოსა და სამბოში. საერთაშორისო ტურნირების პრიზიორი თანატოლებში. III ეაოდ-ის ჩემპიონი



გიორგი გუგავამ ეს-ესაა მესამე ადგილი აიღო

ფირუზ ტყეშელაშვილი

ლევან სულხანიშვილი

ირაკლი სირაძე

უკლია ფიქრად, რომ შეიძლებოდა წაეგო: „ფინალამდე მოვსულვარ და მაგას ოქროს როგორ გავატანო" — ამბობდა მეტოქეზე. მწვრთნელებმა არ მოუწონეს ჯავახიშვილს ამგვარი განწყობა და მკაცრადაც გაუფრთხილეს, მაგრამ შინდისელ ბიჭს იმ დღეს საკუთარი თავისა ყველაზე მეტად სჯეროდა. მართალიც იყო, მან მე-14 წამზე ცერი ამოუსვა მეტოქეს და წმინდად გაიმარჯვა. ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ ჯავახიშვილის მხარდასაჭერად მისულმა მთელმა ქართველებმა სკამებზე ხელრიანად მოკალთება ვერც კი მოასწრეს. ოც წუთში კი ეაოდ-ებზე პირველად აეღერდა საქართველოს ჰიმნი.

60 კგ. თემურ გივიაშვილი

I — მირბერგი (შვედეთი) 10:0, II — პლუქსი (ლატვია) 0:1

რამდენდაც კარგად ჩაატარა თემურმა პირველი შერკინება, იმდენად პასიური იყო მეორეში. მსაჯებმა გამარჯვება ლატვიელს მიაკუთვნეს. მომდევნო წრეში პლუქსი თავად დამარცხდა ესპანელ უემაცუსთან (სხვათა შორის, იაპონური წარმოშობისა და გარეგნობის ესპანელი ვალენსიაარდშიც ჩემიონი გახდა), რითაც გივიაშვილს შეჯიბრების გაგრძელების გზა დაეხშო.

65 კგ. გიორგი ნადირაშვილი

I — ბრაუნი (უნგრეთი) 1:0, II — ვან დერ ჰამი (ნიდერლანდები) 0:10

გიორგისგან მწვრთნელები მედალს ელოდნენ, მაგრამ იგი აშკარად „გადამწყარი" იყო. პირველ წრეში უფერული ხანტეით მოგების შემდეგ, ნადირაშვილმა მომდევნო ეტაპზე შებოჭვით დათმო შეხვედრა. სამწუხაროდ, მანაც გივიაშვილის ბედი გაიზიარა, რადგან მისი მომგები ფინალში ვერ გავიდა.

71 კგ. ლევან სულხანიშვილი.
III ადგილი

I — [illegible]ვენებდა, II — კორგვეე (ესტონეთი) 10:0, III — მალაკაუსკასი (ლიტვა) 10:0, IV საკი (იტალია) — 0:5, III ადგილისთვის — სუდიტუ (რუმინეთი) . 7:0

ესტონელის „მოხრჩობის" შემდეგ სულხანიშვილი მეორე ბალტიელს — მალაკაუსკასს შეხვდა და კინაღამ არაკვალიფიციური მსაჯობის მსხვერპლი შეიქნა. გვერდითმა მსაჯმა ლიტველის გაფრთხილება მოითხოვა, შუამავალი ადგა და „შიდო" ჩვენს მოჭიდავეს მისცა. სანამ ლევანი არკვევდა, რაში იყო საქმე, მეტოქემ ერთი იუკოც აართვა და დამთავრებამდე 20 წამით ადრე ამ უპირატესობას ინარჩუნებდა. სწორედ ამ დროს სულხანიშვილმა გარეფეხზე წამოსული მეტოქე კონტრილეთზე გამოიჭირა და წმინდად გაიმარჯვა.

ქართველ ფალავანს ფინალში გასასვლელად 8 წუთის შემდეგ უნდა ეჭიდავა. მაგრამ მის ტატამზე მორიგი ბრძოლა ვადაზე ადრე დასრულდა და ლევანსაც დასვენებულ იტალიელთან საჭიდაოდ 3,5 წუთის შემდეგ უხმეს. საკის ძლიერი ხელები ჰქონდა, რასაც კარგად იყენებდა სულხანიშვილის წინააღმდეგ. ჩვენებური ჯერ არასწორი ჩავლებისთვის გაფრთხილეს, შემდეგ მეტოქეს იუკო დაუთმო და ახლა მხოლოდ მესამე ადგილსღა თუ მოიპოვებდა.

რუმინელი სუდიტუ უკვე მე-40 წამზე იუკოთი დაწინაურდა. სულხანიშვილს კი სულ ერთი წუთი დასჭირდა საქმის თავის სასარგებლოდ შემოსატრიალებლად კონტრილეთი ვაზარი დაიმსახურა. მერე კი, თითო წუთის ინტერვალით ორი იუკოც მიითვალა და მესამე ადგილზე გავიდა. ამ მედალმა დიდ ბრიტანეთთან საერთო ჩათვლაში უკანასკნელად გავთანაბრა.

78 კგ. ირაკლი სირაძე. III ადგილი

I — ტრნინიჩი (ბოსნია) 10:0, II — მოსაი (ბელგია) 10:0, III — სკერბისი (სლოვაკეთი) 7:0, IV — კრავჩიკი (პოლონეთი) 0:5, III ადგილისთვის — რუბენშერი (ავსტრია) 7:0

სირაძემაც სულხანიშვილის ბედი გაიზიარა, ოღონდ ფინალში გასასვლელ შერკინებაზე წინა შეხვედრის დამთავრებიდან 4 წუთის შემდეგ გამოიძახეს. მანამდე ირაკლიმი მეტისმეტად შთამბეჭდავად გაიმარჯვა ყველა შეხვედრაში. პოლონელ კრავჩიკთან სირაძემ ერთი იუკო დათმო, რამაც გადაწყვიტა კიდევაც შეხვედრის ბედი. ბრინჯაოს მედალს მოპოვებაში ქართველ ძიუდოისტს პრობლემა აღარ ჰქონია — მან ჯერ იუკოზე დაგდო ავსტრიელი, შემდეგ ბოლო წამებამდე შეინახა უპირატესობა და მერე ერთი ვაზარიც დააყოლა. ზუსტად ამ დროს, გვერდით ტატმზე ესპანელმა მოგენამ დამარცხა ბრიტანელი მოჭიდავე და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს ნაკრები გუნდურ შეჯიბრებაში მიუწვდომელი რჩებოდა.

მძიმე წონა. გიორგი გუგავა.
III ადგილი.

I — დაისვენა, II — ჩრზი (ჩეხეთი) 10:0, III — პუბერტი (გერმანია) 10:0, IV — პადარი (ესტონეთი) 0:7, III ადგილისთვის — პოიჩი (შვეიცარია) 10:0

გიორგი გუგავამ ყველაზე დინჯი, ასაკის კვალობაზე გამოცდილი და ჭკვიანი ფალავნის შთაბეჭდილება დატოვა ჩვენი გუნდიდან. ამ ბიჭს ერთი ქულაც არ მიუცია მეტოქეებისთვის, ვისაც მოუგო — წმინდად მოუგო, ხოლო თავად გაფრთხილებებით წაავო.

გუგავას პირველი მეტოქე ზეხი ჩრზი ქართველზე ერთი თავით მაღალი და 20 კილოგრამით მძიმე იყო (გუგავას წონა 86 კილოგრამია). მას მოზრდილი კიკინა უმშვენებდა სანახევროდ გადაპარსულ თავს და შესახედავადაც საშინელი იყო. გიორგიმ არაფერს ყურადღება არ მიაქცია, მეორე წუთზე ხელში აიყვანა ეს მთასავით ჯეელი და წინ ტრიალით იპონზე დასცა. მანამ კი ორი იუკოც მიითვისა.

გერმანელ პუბერტთან გუგავამ ძალების დაზოგვა გადაწყვიტა, თუმცაღა მარაგი პირველ წუთზევე შეიქმნა იუკოთი. მესამე წუთზე, როგორც კი საშუალება მიეცა, შეცდომაზე გამოიჭირა მეტოქე და წმინდად გაიმარჯვა.

ფინალში გასასვლელად გუგავას მეტოქეს ესტონელ პადარს იოლად გამოარჩევდით ყველა ძიუდოისტისაგან. მაღალი, დაკუნთული და ჯანიანი ბიჭი ქართველთან შეხვედრამდეც იპონებით მივიდა. სპეციალისტები სინანულს გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ ეს ორი მოჭიდავე ფინალამდე ხვდებოდა ერთმანეთს. ღირსეულმა მეტოქეებმა ფრთხილად დაიწყეს ჭიდაობა და ორივემ გაფრთხილება — შიდო დაიმსახურა. ერთ წუთში გუგავამ მთელს ტურნირზე ერთადერთი შეცდომა დაუშვა — არასწორი ჩავლება გააკეთა და უფრო მკაცრი გაფრთხილება — ჩუი დაიმსახურა. ფალავნები ერთმანეთს ილეთს არ აკეთებინებდნენ, ამიტომ არბიტრებმა გაფრთხილება „თითო რანგით ასწიეს": ქართველს კეი-კოკუ, ესტონელს — ჩუი. ამასობაში დროც დამთავრდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ პადარი ჩემპიონი გახდა.

მესამე ადგილისთვის შეხვედრა კი კატ—თავგობანას თამაშს დაემსგავსა. გუგავა, როცა სურდა, იჭერდა, როცა სურდა უშვებდა შვეიცარიელ პოიჩს. ვაზარიი აშკარად ოთხჯერ დაგდო მეტოქე, მაგრამ მსაჯებმა მხოლოდ ორი ჩაუთვალეს. თუმცაღა, საბოლოო გამარჯვებისთვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა.

მაშ ასე, თითო ოქრო-ვერცხლი, სამი ბრინჯაო და გუნდური პირველი ადგილი. ასე დაამშვენეს ძიუდოისტებმა ევროპის ახალზრდობის III ოლიმპიურ დღეებში საქართველოს სპორტსმენების ასპარეზობა.

მერაბ რატიშვილი
ბათი — თბილისი

ვიცე-პრეზიდენტი ანზორ მარტყოფლიშვილი და მთავარი მწვრთნელი ჯემალ ნათელაშვილი გამარჯვების შემდეგ თამარ ბალავაძეს ესაუბრებიან

ავთანდილ გურასაშვილის
ფოტოები

ჩვენი კორესპონდენტის ინგლისში მივლინებისთვის რედაქცია მადლობას უხდის საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, სპორტის დეპარტამენტს და მისი თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ბატონ ჯანო ბაგრატიონს, ავიაკომპანია „ორბს".

სარბიელი

ტოტალიზატორი "CROCO"

	1	X	2
რუსეთის ჩემპიონატი. 22 ივლისი			
ლოკომოტივი (მ) - ვლადიკავკაზი	2,7	2,7	1,8
როტორი - სპარტაკი	4,4	3,2	1,3
ჟემჩუჟინა - ტორპედო	4,0	3,0	1,4
დინამო (მ) - ცსკა	2,4	3,2	2,4
ინტერტოტოს თასი. 22-23 ივლისი			
გურნიკი - კარლსრუე +	6,5	3,4	1,1
შეფილდი - ორპუსი	1,6	3,0	3,0
+ კიოლნი - ტოტენჰემი	1,6	3,0	3,0
ლუცერნი - რუდარი	1,05	3,5	10,0
ტრომსო - ეკერენი	1,8	2,6	2,8
უნივერსიტატია - არაუ +	2,0	2,5	2,5
უნიაუ - პერენვენი +	1,4	3,0	4,0
ნესტვედი - ტონ პეტრი	1,05	3,5	10,0
პელსინკი - ბორდო +	4,7	2,7	1,4
+ ოდენგსე - ნორჩიოპინგი	1,15	3,2	6,5
+ მეცი - ლინცერი	1,3	3,2	4,4
პარტიკ თისლი - ზაგრები	1,4	2,8	4,4
სალამინა - ლევერკუზენი +	7,0	3,0	1,15
ბუდუჩნოსტი - ოფი +	2,5	2,5	2,0
კანი - ბეჩეი	1,05	3,6	9,0
+ ფარული - დნეპრი	1,3	3,0	5,0
ეტარი - ბეევერენი	1,4	3,0	4,0
გრონინგენი - ჩაპლაული +	1,3	2,8	5,6
შარლერუა - უიმბლდონი	1,4	2,6	5,0
+ ბურსასფორი - კოშიცე	1,25	3,0	5,6
პაპოელი - სტრასბური +	6,5	3,0	1,2
+ ტიროლი - გენჩლერბირლიგი	1,8	2,6	2,8
+ * აინტრახტი - ფორვერტსი +	1,2	3,0	6,5
ირაკლისი - პანერისი	1,5	2,7	4,0

შესაძლო კორექტივებსა და სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 1000 მანეთი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას, მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და პარმა — ლაციო 2-1) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის აღება — თასის აღებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე აღრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ვეღარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (1 000 მანეთი).

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 13-დან 16 საათამდე სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.

უშველეთ და გიშველით!

კიდევ ერთხელ სპორტულ მედიცინაზე

ყველამ იცის, რა დღეში ჩაგდო ჩვენმა დღევანდელმა ყოფამ საზოგადოებრივი საქმიანობის ბევრი სფერო და დარგი, მათ შორის მედიცინა და სპორტი. ყველას ისიც მოეხსენება, რომ მასობრივი სპორტი (იგივე ფიზიკური კულტურა) ითვლება მოსახლეობის გაჯანსაღების, შრომის უნარის გაუმჯობესების და სიცოცხლის გახანგრძლივების ერთ-ერთ ძირითად საშუალებად, რომლის განვითარებას უცილობლად ესაჭიროება სამედიცინო საფუძველი (სპორტული მედიცინა, საექიმო კონტროლი). არც დიდი (ამჟამად პროფესიული) სპორტი ვითარდებოდა სპორტული მედიცინის გარეშე, ვინაიდან სპორტსმენის დოსტატება და, საერთოდ, წვრთნის პროცესის რეგულირება მხოლოდ და მხოლოდ სპორტული მედიცინის მონაცემებს ეფუძნებოდა. უამისოდ, მაღალი სპორტული შედეგი ეპიზოდური ხასიათისა თუ იყო.

ვინ იტყვის, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოში, სპორტული მედიცინა (საექიმო ფიზკულტურის სამსახური) იდეალურად იყო დაყენებულიო, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ეს სამსახური ავად თუ კარგად ფუნქციონირებდა და სათანადო დახმარებასაც უწევდა სპორტსმენებსა და სპეციალისტებს სამედიცინო უზრუნველყოფის საქმეში. ბარემ ისიც გავიხსენოთ, რომ საბჭოთა კავშირის ბევრ ნაკრებ გუნდში სპორტულ მედიცინას მეტ პატივს სცემდნენ და იგი უფრო მაღალი დონისა იყო, ვიდრე ჩვენს ნაკრებ გუნდებში და მათ შეკრებებზე. ბოლოს ისიც უნდა ითქვას, რომ იმზანად საბჭოთა სპორტულმა მედიკოსებმა უცხოელ კოლეგებთან შედარებით ყველაზე მეტი გააკეთეს მედიცინის ამ დარგის მეცნიერულად შესასწავლად, ამ მიღწევებს კი დღესაც წარმატებით იყენებენ იმ ქვეყნებში, სადაც სპორტი ხელშემწყობი ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პირობების გამო აღმავლობით ვითარდება. ეგრეთ წოდებულ ესენგეს ქვეყნებში ასეთ წარმატებებს ვერ აღწევენ, სპორტს — მასობრივსაც და პროფესიულსაც საერთო ჯამში რაიმე შესაშნევი წინსვლა არ ეტყობა.

დღევანდელ პირობებში მოთხოვნა და საკითხის ასე დასმა — ყველაფერი სპორტის გასავითარებლად — რასაკვირველია, სწორი არ იქნებოდა, მაგრამ მსჯელობა ამ პრობლემაზე, ჩვენი დუხჭირი ცხოვრების მიუხედავად, წუთითაც არ უნდა წყდებოდეს, ვინაიდან სპორტის განვითარება ორგანულადაა დაკავშირებული ხალხისთვის ნორმალური პირობების შექმნასთან.

ამ წერილს კონკრეტული მიზანი აქვს: ყველა სპორტულმა და სპორტთან დაკავშირებულმა უწყებამ ყურადღება მიაქციოს ერთ მნიშვნელოვან საკითხს — საქმე ეხება სპორტული მედიცინის ბედს, ვინაიდან სულ მალე ამ განხრით მომუშავე დაწესებულებები (საექიმო ფიზკულტურის დისპანსერები, საექიმო კონტროლის განყოფილებები, კაბინეტები და სხვანი) აღარ შევლენ საბიუჯეტო სამედიცინო დაწესებულებათა სიებში, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ სამსახურს, მიუხედავად მისი დიდი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობისა, აღარ ექნება დღემდე არსებული სახე.

სპორტული მედიცინა საქართველოში დღეს მეტად მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად დაქვეითდა სპორტულ ექიმთა მუშაობის ხარისხი და ეფექტი. ამის მიზეზი გახლდათ ამ სამსახურის ცუდი ორგანიზაციაც და სპორტის მესვეურთა (სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელების, მწვრთნელებისა და სხვათა) ძნელად ასახსნელი გულგრილი დამოკიდებულება მედიცინის მიმართ, რამაც, ბუნებრივია, უარყოფითი გავლენა იქონია ჩვენს სპორტზე. არც ის არის დასამალი, რომ უკანასკნელ წლებში ძალიან გაუარესდა სპორტულ ექიმთა მომზადების დონე, ამასთან, სპორტულ მედიცინაში მომუშავე ბევრმა ანალგაზრდა ექიმმა ამ დარგში მუშაობას სხვა სპეციალობით საქმიანობა არჩია.

ამ ყოველივეს ბევრი სუბიექტური და ობიექტური მიზეზი გააჩნია, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ ერთი მხრივ, სპორტის დეპარტამენტი და ფედერაციები, ხოლო მეორე მხრივ, განათლების სამინისტრო პრინციპულად ან უცოდინარობის გამო არავითარ ინტერესს არ იჩენენ საიმისოდ, რომ ჩვენში გარკვეულ დონეზე მაინც შენარჩუნდეს მასობრივ და პროფესიულ სპორტში მომეცადინეთა სამედიცინო უზრუნველყოფის საქმე.

კარგად ვიცი, ეს სიტყვები არ ესიამოვნებათ ზემოჩამოთვლილ უწყებათა იმ მუშაკებს, რომელთა საქმიანობა სპორტსმენთა სამედიცინო მომსახურებასთან არის დაკავშირებული, მაგრამ სჯობს პირში ვუთხრათ ერთმანეთს სათქმელი, რათა დროულად დავსახოთ ის ღონისძიებები, რომელთა მეშვეობით ჯერ კიდევ შეიძლება სპორტული მედიცინის გადარჩენა, რითაც ხელი შეეწყობა საქართველოში სპორტის შემდგომ განვითარებას.

მედიცინის უმრავლესი დარგის თვითდაფინანსებაზე გადასვლამ დღის წესრიგში დააყენა თვალსაჩინო ცვლილებების შეტანა ე.წ. საექიმო-ფიზკულტურის სამსახურში. იგულისხმება, ერთი მხრივ, დისპანსერების გაერთიანება ანაც ამ სამსახურის პოლიკლინიკების შემადგენლობაში შეყვანა, მეორე მხრივ, ამ დარგში მომუშავე სამედიცინო პერსონალის (ექიმების, მეთოდისტების, მასაჟისტების, მედდების, ფერშლების და სხვათა) კვალიფიკაციის ამაღლება.

ამ საქმის მოგვარება საკმაოდ დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული, ამათგან უპირველესი კი ეკონომიკური პრობლემაა, რომლის გადაწყვეტა მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით თუ მიიღწევა.

პრობლემის არსი ესაა: დარჩება თუ არა ფიზიკური კულტურა სავალდებულო საგნად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. თუ არა, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ერის, ხალხის ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობას დიდი ზიანი მიადგება. თუ ჩვენ ამას არ დავუშვებთ, რადგან ამის გაკეთება ნამდვილად არ შეიძლება, მაშინ განათლების სამინისტრომ გარკვეული წვლილი უნდა შეიტანოს სპორტული მედიცინის მუშაკთათვის სამსახურის შენარჩუნების საქმეში.

ასეთივე ამოცანის წინაშე დგანან სპორტული ორგანიზაციები. თუ გვინდა მივაღწიოთ სტაბილურად მაღალ სპორტულ შედეგებს და შევინარჩუნოთ სპორტული რეპუბლიკის სახელი, ამისათვის აუცილებელია სპორტის განვითარება სპორტული მედიცინის საფუძველზე და არა ისე, როგორც დღეს ხდება. თუ დღეს სპორტის ცალკეულ სახეობებში ჩვენი სპორტსმენები ჯერ კიდევ ასახელებენ საქართველოს, ძირითადათ მათი ნიჭის წყალობითაა და არა მეცნიერულ საფუძველზე აგებული წვრთნისა.

სწორედ ამიტომაა, რომ ჩვენს სპორტსმენთა დღევანდელი მიღწევები უმრავლეს შემთხვევაში არასტაბილურია და უფრო ეპიზოდურ ხასიათს ატარებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ოლიმპიელების გაღრმავებული საექიმო შემოწმება, რაც, ვეჭვობ, თანამედროვე მოთხოვნების დონეზე ჩატარდეს. თითოეული ოლიმპიელი საჭიროებს ინდივიდუალურ მიდგომას მისი ფსიქო-ფიზიკურ სტატუსის შეფასებისას, რაც ექიმთა და მწვრთნელთა ერთობლივი მონაწილეობით უნდა ხორციელდებოდეს.

არც სპორტული მას-მედიაა მართალი იმ თვალსაზრისით, რომ ერთხელაც არ ახსენებენ სპორტულ მედიცინას და მისი მუშაკების როლს სპორტსმენთა მომზადების საქმეში, და ნურც ამას იწყენენ, თუ ვიტყვი, რომ ძალიან ხშირად არასწორად აფასებენ მავანი სპორტსმენის გამოსვლის ამა თუ იმ სახეობაში.

სამწუხაროდ, ვერა და ვერ მოხერხდა ამ საკითხზე ერთობლივი მსჯელობა ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროების, სპორტის დეპარტამენტის, ფედერაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით, საქმე კი ამას მოითხოვს. ეს სახელმწიფო მნიშვნელობის პრობლემაა და იქნებ პარლამენტის კომისიის დონეზეცაა გადასაწყვეტი დროა დაისახოს რეალური გზები სპორტში ამა თუ იმ ფორმით მომეცადინეთა სამედიცინო უზრუნველყოფის საქმეში, რაც მხოლოდ და მხოლოდ სპორტულ მედიცინას ძალუძს. ფაქტი ერთია: საქართველოში სპორტული მედიცინა კვლავ უნდა ვითარდებოდეს, ვინაიდან იგი მოსახლის მედიცინაა.

რომანოზ სვანიშვილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის კათედრის გამგე, პროფესორი

ხვალისთვის ლომუ კბილებს ილესავს

ხვალ ქართველ რაგბის მოყვარულებს ზეიმი აქვთ: „სთარ თი-ვის“ მეშვეობით ჯერ პირდაპირ, შემდეგ კი გამეორებითაც შეუძლიათ უყურონ მსოფლიო რაგბის ორი გოლიათის — ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსისა“ და ავსტრალიის „ვოლაბეების“ 99-ე შერკინებას. მატჩი ოქლენდის „იდენ პარკზე“ ჩვენი დროით დილის რვის ნახევარზე დაიწყება. ამ დროს ახალ ზელანდიაში დღის ხუთის ნახევარია.

ზელანდია გამოიყენებს იმავე შემადგენლობას, რომელსაც მსოფლიო თასის წაგებული ფინალი ათამაშა. ეს ნიშნავს, რომ კაჭსა და კაპიტან შონ ფიოსპატრიქს გადაუფიქრებია ნაკრებისათვის თავის მინებება, ფრთის მორკინალი მაიკ ბრუერი მოკეთებულა, 9 ნომერი გრემ ბეშოფი დროებით გუთავისუფლებია მავან იაპონურ (!) ბობოლა კლუბს, რომელთან დადებული კონტრაქტის თანახმად ბეშოფს ორი წლის მანძილზე რაგინდარა სხვა გუნდში თამაშის უფლება არა აქვს, და გარემარბი ჯონა ლომუც კბილებს ილესავს, კარიერაში პირველად რომ ეთამაშოს მეზობელსა და ძველ მეტოქეს.

ბოლო ორი თვეა, ლომუს მომავლის გამო მითქმა-მოთქმა არ წყდება. ჯერ იყო და მამამისმა განაცხადა, ჩემი შვილი ამერიკულ ბურთაობაში გადამყავსო. მერე 70-იანი წლების ინგლისის ნაკრების ბურჯმა მაიკ ბერთონმა, ამჟამად რაგბიდან ლიგის რაგბში ვარსკვლავთა გადაბირების შუამავლობით რომაა სახელგატეხილი, დაიქადნა, ჯონას სამ თვეში ახალ ასპარეზზე ინილავთო, ამ კვირაში კი ახალი ზელანდიის ერთ-ერთმა გაზეთმა დაწერა, ინგლისის ლიგის რაგბის კლუბმა „ლიდსმა“ ლომუ ორნახევარმილიონ გირვანქად აცდუნაო. ეს ცნობა უმალ გაბათილა ლომუს აგენტმა ფილ ქინგსლი-ჯოუნსმა. იგი ამტკიცებს, რომ 20 წლის ლომუ თავს მშვენივრად გრძნობს რაგბში, თამაშიც სიამოვნებს და სხვაგვარ ბურთაობებში გადასვლას არც აპირებს 2000 წლამდე, ვინაიდან 1999 წელს მსოფლიო თასზე გამარჯვება სურსო. ახალი ზელანდიის რაგბის კავშირი სარფიან კონტრაქტს უმზადებს მარტორქასავით გარემარბს. ახლა ყველა ელის რაგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ) აგვისტოს სესიას, რომელიც მოთამაშეებთან კონტრაქტების დადების ნებას დართავს რაგბის კავშირებს. რაც შეეხება რაგბისლიგელ „ლიდსს“, მათ ვერ გაამტყუნებო, უთქვამს ქინგსლი-ჯოუნსს — ეს ხალხი ლომუს ნიჭს ხედავს და აფასებსო.

ზელანდიელ თამაშში ლომუს პირისპირ „კამპო“ — ლეგენდარული დეივიდ ქემფიზი უნდა მდგარიყო, მაგრამ ავსტრალიელმა სელექტორებმა, ეტყობა, დიდ მოთამაშეს შერცხვენა ააცილეს და თხუთმეტეულიდან დაითხოვეს. „ვოლაბებმა“ მარცხიანი მსოფლიო თასის შემდეგ სხვა ცვლილებებიც განახორციელეს: მესამე ხაზში დაბრუნეს თრეი ქოქერი, ვინაც სამივე მსოფლიო თასის წლებში მოხვდა ნაკრებში, მაგრამ წელს სამხრეთ აფრიკაში ტრავმის გამო ერთხელაც ვერ ათამაშეს. შეიცვალა ნახევარმცველთა წყვილიც: ლაინფმა (10) რაგბს თავი დანება, მულატი გრეგანი (9) კი დაიწუნეს. არადა, ამ ტანჩია მოთამაშემ შარშან ბოლო წუთებზე ხედ ლელოსთან შებოჭა ზელანდიელი ჯეფ ვილსონი, ბურთი ხელიდან გააგდებინა და ავსტრალიას გაამარჯვებინა.

შერკინების ნახევარმცველი ახალბედა სთივ მერექი იქნება, გარე ნახევარმცველი — სქოთი ბოუენი, ვინაც 1993 წლიდან დროდადრო ცვლიდა ლაინფს. ამ დიდი მოთამაშის წასვლის შემდეგ კაპიტნობა კვჭ ფილ ჭერნსს დაებრუნეს.

ზელანდია 66. ავსტრალია 27. ფრე 5

მეზობლები, ერთმანეთისგან ტასმანის ზღვა რომ ჰყოფთ, რეგულარულად ეთამაშებიან ერთმანეთს. შეზვედრები ან ტურნეს პროგრამაში შედიოდა (ასეთ დროს ორი-სამი ტესტი იმართებოდა), ანაც გუნდები მხოლოდ ერთ (იშვიათად ორ) საგანგებო ტესტს თამაშობდნენ. სერიალი, რაღა თქმა უნდა, შეაფერხა მსოფლიო ომებმა. გარდა ამისა, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ქვინზლენდის რაგბის კავშირი ათი წლით დაიხარა, რის გამოც ავსტრალიის ნაკრები ახალი სამხრეთი უელსის სახელით ასპარეზობდა. მის ტესტებს ავსტრალიას, როგორც წესი, არ თვლიან.

1931 წელს, მეზობელთა მე-18 შერკინებისთვის, რომლის წინ ანგარიში 11-5 (1 ფრე) იყო ზელანდიის სასარგებლოდ, მაგრამ ავსტრალიას 1929 წელს შინ სამივე ტესტი მოეგო, ზელანდიის გუბერნატორმა ლორდმა ბლედისლოუმ გამარჯვებულის დასაჯილდოებლად ვერცხლის ვეებერთელა გარდამავალი თასი დაწესა. მას აქეთ ეს ჯილდო 29-ჯერ მოიგო ზელანდიამ და მხოლოდ 7-ჯერ ავსტრალიამ — 1934, 1949, 1979, 1980, 1986, 1992 და 1994 წლებში. ზელანდიელთა დიდი ჯამური უპირატესობის მიუხედავად, ბოლო 15 წელია, ბლედისლოუს თასის გათამაშება ფრიადი დონის რაგბის სინონიმად იქცა. ჯილდო ამჯერად „ვოლაბებს“ უპყრიათ და მის დასაბრუნებლად „ოლ ბლექსმა“ უნდა მოიგოს ორმატჩიანი სერიალი, რომლის მეორე, რიგით მეასე (!), საიუბილეო ტესტი იქნება შაბათს, 29 ივლისს, ჩვენი დროით დაახლოებით დღის სამის ნახევარზე სიდნეიში დაიწყება.

ავსტ — ზელ	ხანა	ზელ — ავსტ
(ფრჩხილებში ფრეთა რაოდენობა წერია)		
1-8 (1)	1903-14	3-1
5-5 (1)	1929-38	3-0
0-11	1946-68	12-6 (1)
5-9 (2)	1972-91	13-5
3-1	1992-94	1-0
14-34 (4)	სულ	32-12 (1)

ქალაქების მიხედვით
(პირველი მაჩვენებელი მასპინძლისაა)

ავსტრალიაში:	
სიდნეიში	12-23-(2)
ბრისბენში	2-11 (2)
ახალ ზელანდიაში:	
დანიდინში	9-0
ველინგტონში	8-5 (1)
ქრაისჩერჩში	5-3
ოქლენდში	10-4

გარდა ამისა, მეორე მსოფლიო თასზე, 1991 წელს, დუბლინში ავსტრალიამ გაიმარჯვა

ერიჰა!!!

ამ კვირაში მორიგი სენსაციური ცნობა გაჩნდა ავსტრალიურ პრესაში. რუპერტ მერდოქის მიერ შევიწროებული ქერი პეკერი კონტრიერიშზე გადასულა. მედიის ეს მაგნატი თურმე ნოემბრისთვის გეგმავს 100 მილიონი ამერიკული დოლარის შოვნას და პროფესიული, ანუ ფულიანი ხუთმეტკაციანი რაგბის ლიგის შექმნას, რომელსაც „რაგბის მსოფლიო ჩემპიონატი“ დაერქმება. პეკერის ჩანაფიქრის თანახმად, ამ ცირკში გაერთიანდება რვა ეროვნული ნაკრები: ავსტრალია, ახალი ზელანდია, სამხრეთი აფრიკა, ინგლისი, უელსი, საფრანგეთი, შოტლანდია და სამოა (ეტყობა, ირლანდია ლორსად არ უცვნიათ!) და ყოველწლიურად გამართავს როგორც რეგიონულ, ასევე მსოფლიო პირველობებს. პეკერის ხალხს ერთბაშად 900 (ცხრაას !) ცნობილ მორაგბესთან გუბამთ მოლაპარაკება, მაგრამ მათი გეგმა გუთქვამს ინგლისის ნაკრების მავან წევრს, ვისაც თავისი ვინაობის გამხელა არ უსურვია.

ძნელი სათქმელია, რამდენად სერიოზულია პეკერის პროექტი, თუმცა ამ კაცს 1970-იან წლებში უკვე გადაუბრუნებია მთელი კრიკეტის სამყარო ე.წ. მსოფლიო სერიის მოწყობით, რამაც კრიკეტის საერთაშორისო საბჭოს (იკკ) მერე და მერე კი ველარაფერი დააკლო, მაგრამ საერთაშორისო კრიკეტი კი გააპროფესიულა.

პეკერის ახლანდელი გეგმები არა მარტო მერდოქის, არამედ ირბ-ის აშკარა გამოწვევაცაა. თუ მერდოქის მიერ დასაფინანსებელი ჩემპიონატები მონაწილე ქვეყნების რაგბის კავშირების ეგიდით იმართება, პეკერის „მსოფლიო ჩემპიონატი“ ტოტალურ აბობოსა და განდგომას ითვალისწინებს. ასეთი რამ 1980-იანი წლების დამდეგს უცდია ვინმე დევიდ ლორდს, მაგრამ რაგბის კავშირებს დროულად უმარჯვნიათ და ირბ-ისათვის მსოფლიო თასი დაუწესებინებიათ.

ერთი სიტყვით, ბობოლა სამხრეთელ მორაგბეებს დღესდღეობით სამი არჩევანი აქვთ: ან ირბ-ის რაგბში დარჩნენ და გაპროფესიულებისა და მერდოქის ფულის იმედად იყვნენ, ან პეკერის რაგბში გადავიდნენ, ანაც ისევ და ისევ მერდოქის ფულით შექმნილ სუპერ-ლიგის რაგბში სცადონ ბედი.

დღესვე ახალი პრეზიდენტი გვეყოლება

ერთიკვირისწინა „სარბიელში“ მასების სურვილის გამოცხადება ერთი იყო და საქართველოს რაგბის კავშირმაც უმალ მოიწვია კონფერენცია, რომელსაც გუშინწინ ნარმომადგენელთა სარეკორდო რაოდენობა — 37 კაცი დაესწრო. მონაწილენი, როგორც სჩვეულებრივ ხოლმე, თანდათან მოგროვდნენ, მერე კი ტრადიციულად გაუგრძელდათ დისკუსია, რის გამოც საზაფხულო შვიკაცობრ კენაურამ დაგვიანებულ.

რაგბის კავშირის 15 წევრი კლუბიდან შეიკრიბა თერთმეტი, ანუ უკლებლივ ყველა ამერელი. იმერიდან არავინ ჩანდა, თუმცაკი ყველამ უწყოდა კრების ამბავი. როგორც ლიხსიქით ბოლო კვირაში სათამაშოდ ნამყოფმა დამსწრეებმა ამცნეს საზოგადოებრიობას, ქუთათურებიცა და ბათუმელებიც წინდაწინ ყაბულს არიან ყველაფერზე, რასაც თბილისელები და რუსთაველები გადაწყვეტენო.

კონფერენციამ ნაყოფიერად იმუშავა. სამ საათში ერთობ ბევრი მოესწრო. უამრავჯერაც ითქვა, რომ ქართული რაგბი აშკარად სწორ გზას ადგას, რის გამოც დანაშაული იქნება ხელსაყრელი მომენტის ხელის გაშვება საიმისოდ, საზოგადოდ ჩვენს საზოგადოებაში, ქართულმა რაგბმა კი მსოფლიოში მათთვის საკადრისი ადგილები რომ დაიკავიდრონ.

მოსალოდნელი იყო როგორც რაგბის კავშირის პრეზიდენტობის კანდიდატთა პროგრამების გაცნობა, ასევე პრეზიდენტის არჩევნებიც, რასაც პერსპექტივაში ნაკრებების მწვრთნელთა არჩევნებიც მოყვბოდა. გუშინწინ განზრახულის მხოლოდ პირველ პუნქტს შეესხა ხორცი, არჩევნები კი სულ რაღაც ორი დღით, დღეის 17 საათისთვის გადმოიდო.

კანდიდატი ორია (ანბანური რიგით): ბიძინა გეგიძე და მიხეილ რობიტაშვილი. ჯერ არცერთს შესრულებია 40 წელი და ორივე სულითა და ხორცით მორაგბეა: 1970-80-იან წლებში ბიძინა პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და „შევარდენში“ თამაშობდა, მიშა კი — სამედიცინო ინსტიტუტში. რაღა თქმა უნდა, ორივეს კოლორიტული მეტსახელიცა აქვს, რაც მოწმობს, რომ კანდიდატები რაგბის სამყაროსათვის შინაურები არიან. წელს ორივენი მოწინავე გუნდებს მენეჯერობენ: გეგიძე — „გუმარსა“, ხოლო რობიტაშვილი — „თბილისს“.

რობიტაშვილი იმავდროულად ექიმიცაა, იმ დღეს ოპერაცია გაუგრძელდა და სხდომაზე დაგვიანდა, რის შედეგადაც მისი პროგრამის წარდგენა „თბილისის“ მწვრთნელმა მიხეილ ბურძგლამ ექსპრომტად ითავა. გეგიძემ თავად გააცნო საზოგადოებას თავისი პროექტი.

შეკრებილნი ორივე განაცხადს ერთობ გულისხმიერად მოეკიდნენ. შეკითხვებიც მრავლად დასვეს, კამათიც გული იჯერეს და ორივე პროგრამა ძალიან შეაქეს. მერე აზრიც გამოთქვეს, ხომ არ გაგვეერთიანებინო, რაც უმალვე მეტადა სასიამოვნო, ორ ბანკად დაყოფის ფონზეც კი აშკარად გამოჩნდა, თუ რარიგ აღზრდილა და დაღვინებულა ჩვენი სარაგბო თემი: მოკამათენი ერთმანეთს უაღრესად თავაზიანად და თბილი იუმორით მიმართავდნენ, რაც სულ არ ჰგავდა იმას, რასაც ჩვენს საქართველო პარლამენტში ვხედავთ.

„თბილისის“ უფროსობის პროექტში ბევრი რამაა დაკონკრეტებული, „გუმარის“ პროგრამაში კი, როგორც გამომსვლელმა შენიშნა, აქცენტი ზოგადზეა გადატანილი, ვინაიდან ბევრი რამ ისეთი წვრილმანია, რასაც ეს ხალხი თურმე უკვე ისედაც აკეთებს ქართული რაგბის საკეთილდღეოდ.

„თბილისელები“ კავშირის წლიურ ბიუჯეტად ექვსნიშნა თანხის (ამერიკულ დოლარებში!) მოზიდვას აპირებენ. ეს ფული მოხმარდება როგორც ნაკრებებს, ასევე ბავშვთა რაგბს, მოედნების მშენებლობასა და დაშავებულთა მკურნალობას. რაც არსებითია, კლუბებს მიეცემათ სესხები, რომელთა მეშვეობით მათ შეეძლებათ ნაირგვარი საქმიანობის დაწყება, მოთამაშეთა დასაქმება და ჯამაგირით უზრუნველყოფა. ამ პროექტს ზურგს უმაგრებს „ჯორჯია-ტრანზ-ოილის“ ორი ცნობილი ბიზნესმენი, რომლებიც „თბილისს“ უკვე მეოთხე წელია, რაც მხარში უდგანან, ახლა კი თურმე ბურთაობის კიდევ ორი სახეობის თანდგომასაც აპირებენ — თვით ამ სახეობების ფედერაციათა პრეზიდენტებად არჩევასაც ყაბულ ყოფილან.

„გუმარელები“ პროგრამას შორეულ მიზნად ჩვენი კაცთა ნაკრების 1999 წლის მსოფლიო თასზე მოხვედრა დუსახავს. საამისოდ იგეგმება რაგბის ხელშეწყობის სახელმწიფოებრივ საქმედ გადაქცევა, თამაშის დანერგვა ჯარსა და სკოლებში, გაცხოველებული იდეოლოგიური მუშაობა, დიდი სარაგბო აღმშენებლობა, მოთამაშეთა დასაქმება. ამ პროექტის ავტორებს მიაჩნიათ, რომ თუ ქართული რაგბის გაძღოლას მათ მიანდობენ, საუკნის ბოლომდე ჩვენი პოტენციალი უთუოდ ყოველმხრივ გამომჟღავნდება. რაც შეეხება თანხებს, მათზე საუბარი „გუმარელებს“ არასერიოზულად მიაჩნიათ — რომ არ მოგვეძევებოდეს, განაცხადს არც შემოვიტანდითო.

მოცილე პროგრამების აკ-ყარგის გარჩევას, მოდით, ნუ მოვყვებით და მათგან უკეთესის არჩევაც თვით სარაგბო თემს ვაცალოთ. კონფერენციის დამსწრეთა ნაწილმა მართებულად შენიშნა, იმერელთა არყოფნა საბაბი ვერაა საიმისოდ, დღესვე საგანგებო ყრილობად რომ არ გავაგრძელოთ მუშაობა, მით უფრო, რომ ქვორუმიც დაცულიაო, მაგრამ იმ ფრთამ, ვინაც უფრო უპრიანად მიიჩნია არჩევნების გადადება, თავისი მოსაზრება პროცედურული დეტალების დაცვის აუცილებლობით გაამართლა და ბოლოს თავისი კიდეც გაიტანა.

ასეა თუ ისე, გინდაც არჩევნები გაჯანჯღლეს, ამაღამ მაინც გვეცოდინება საქართველოს რაგბის კავშირის ახალი პრეზიდენტის ვინაობა.

ზაზა ფხაკაძე

საზაფხულო შვიდეული

ვაკე. 19 ივლისი

მსაჯი	პაატა	ნარიმანაშვილი
აზოტი 19 (3ლ) — ყოჩები 12 (2ლ);		
თბილისი 14 (2ლ) — გუმარი 0		
თბილისი 10 (2ლ) — აზოტი 5 (ლ);		
გუმარი 28 (4ლ) — ყოჩები 21 (3ლ)		
აზოტი 19 (3ლ) — გუმარი 12 (2ლ);		
თბილისი 19 (3ლ) — ყოჩები 19 (3ლ)		

	თ	მ	ფ	წ	ბ	ლ	ქ
თბილისი	3	2	1	0	43:24	7-4	5
აზოტი	3	2	0	1	43:34	7-6	4
გუმარი	3	1	0	2	40:54	6-8	2
ყოჩები	3	0	1	2	52:66	8-10	1

თბილისი: დგებუაძე, ჯოხია, კაკაძე; იოვაძე, ჩხენკელი, ალანია, ქავთარაშვილი

ჩვენი ნაკრები წელს თუ არა, გაისად მაინც შვიდკაცას შეორე მსოფლიო თასის შესარჩევ ტურნირში უნდა ჩაებას. ამიტომაა, წელს რამდენიმე საშინაო შვიდკაცა რომ დაიგეგმა, მაგრამ დახეთ უბედურებას — გუნდებს უვარჯიშებლობის გამო თითო ხეირიანი შვიდეულის შერჩევაც კი უჭირთ, რის გამოც შემდეგი სამშაბათის შვიდკაცა საერთოდ გაუქმდა.

გუშინწინდელი შეჯიბრება მინიატურული გამოდგა თვით ჩვენი მასშტაბით: სულ რაღაც ექვსი მატჩი, ორი საათისა და 15 წუთის სეირი, ერთი, ოღონდაც მსოფლიო თასის ფორმაში გამოწყობილი მსაჯი, ოთხი გუნდი და ოდენ 28 ლელო.

ფინალიც მწარედ მოვისაკლისეთ. ეტყობა, ეს მონაწილეებმაც ოგრძნეს და კინაღამ დამატებითი მატჩიც გაგვიხერხეს, მაგრამ, ვაი, რომ მხოლოდ კინაღამ...

საზოგადოებას ფავორიტებად „თბილისი“ და „გუმარი“ მიაჩნდა, ამათ კი პირველსავე ტურში მოუწიათ შეხვედრა. „თბილისმა“ ორი ლელოთი მოიგო. „გუმარი“, ვინაც ერთადერთმა ათამაშა ორი შვიდეული, მოუმზადებელი ჩანდა.

მეორე ტურიდან კარგი ბურთაობა გაჩაღდა და ხალხიც გამხიარულდა. აქედან მოყოლებული ტრიბუნებზე აღარ შეწყვეტილა მოთამაშეთა გამოჯავრება, რაც ერთობ დამახასიათებელია რაგბის ამ სალაღობო ნაირსახეობისთვის.

„თბილისელმა“ აჩიკო ქავთარაშვილმა „აზოტს“ სასწაული ლელო გაუტანა — მთელი მოედანი გადასერა, მდევრები უამრავჯერაც წამოეწივნენ, მაგრამ ბურთით ლტოლვილმა ყოვნებით, აჩქარებებითა და გარიდებებით მეტოქეები შესაბოჭად არ მიიახლოვა. მერე არც რუსთაველები დარჩენილან ვალში, ლელოც გაიტანეს, ბოლოს კი „გუმარსაც“ მოუგეს.

„გუმარი“ 28:0 უგებდა „ყოჩებს“. მერე ესენი ათამაშდნენ და სამი ლელო გაიტანეს. „ყოჩებმა“ ასევე გაგრძელეს „თბილისთან“: საკანდელიძისა და ენუქიძის ლელოებით პირველი ტაიმი 14:0 მოიგეს. თამაშის დამთავრებას ორი წუთი რომ დააკლდა, ჩხენკელისა და ქავთარაშვილის ლელოებით „თბილისმა“ ანგარიში გაიყიმა. უმალ ენუქიძემ კიდევ გაიტანა ლელო და „თბილისი“ — „აზოტის“ დამატებითი მატჩის გამართვა ისევ რეალური შეიქნა, რაც ხალხს ერთობ გაუხარდებოდა, მაგრამ ბოლო წუთზე იოვაძემ მაინც გაიტანა ლელო და ტურნირიც დასრულდა.

ლეგენდა მოკვდა

ორშაბათს, ბუენოს-აირესის ერთ-ერთ კლინიკაში პნევმონიისგან 84 წლისა აღსრულა ფორმულა 1-ის მრბოლთა პირველი თაობის უკანასკნელი წარმომადგენელი, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ხუან მანუელ ფანხიო.

თხუთმეტი წლის წინ მას ინფარქტიც მოუვიდა. ისე მძიმედ იყო, რომ ზოგიერთმა საინფორმაციო საგენტომ ცნობაც გავრცელა მისი გარდაცვალების შესახებ. მაგრამ არა თუ გადარჩა, 80 წლისთავზე სარბოლო მანქანას მიუჯდა და ძველებურადაც გაქროლა. დონ ხუანს ბევრი რეკორდი დარჩა — ის, რომ ერთადერთი ხუთგზის (1951, 54-57) ჩემპიონია, რომ ზედიზედ ოთხჯერ გახდა უძლიერესი, 51 რბოლიდან 24-ში გამარჯვა, ე.ი. თითქმის ყოველ მეორეს იგებდა. „მაესტრო“ ყველაზე ხნიერი ჩემპიონიცაა — 1957 წლის 4 აგვისტოს, როცა მეხუთე ტიტული მოიპოვა, 46 წლისა და 41 დღის იყო.

ფანხიო დაიბადა 1911 წლის 24 ივნისს ბუენოს-აირესიდან 400 კმ-ით დაშორებულ სოფელ ბალკარცში, ქვისმთლელის ოჯახში. დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ ავტომექანიკის შესასწავლად მიაბარეს. 27 წლისამ ნაზუქარი, ძველი „შევროლეტით“ შინ რამდენიმე ეტაპზე იასპარეზა. ერთხელ მეხუთე იყო, ცოტა ხნის შემდეგ მეორე ადგილზეც გავიდა, საერთო ჩათვლაში კი თავისი მანქანის კლასში პირველობა არავის დაუთმო. მასზე ალაპარაკდნენ, როგორც არგენტინის ახალგაზრდა საავტომობილო იმედზე, თუმცა უკვე ოცდაათს უკაკუნებდა. მერე მძიმე ავარიაში მოჰყვა, რამაც კარგა ხნით შეფერხა მისი წინსვლა.

1949 წელს, 38 წლისა ევროპაში ჩავიდა იქაურ მრბოლებთან ჭიდილში ძალის გამოსაცდელად. „მაზერატის“ საჭეს მიუჯდა და რამდენიმე რბოლაც მოიგო, ერთი წლის შემდეგ კი „ალფა რომეოთი“ ფორმულა 1-ის პირველ ჩემპიონატში ჩაება. დებიუტი ჩინებული გამოვიდა — ორმოცს მიტანებულმა ოკეანისგაღმელმა მეორე ადგილი დაიკავა პირველი ჩემპიონის, ხუთი წლით უფროსი თანაგუნდელის ჯუზეპე ფარინას შემდეგ. განსაკუთრებით შთაბეჭდავი იყო 1954 წლის პირველობაში გამარჯვება, როცა ცხრიდან ექვსი რბოლა მოიგო და უფრო მეტი ქულა დააგროვა, ვიდრე მეორე და მესამე პრიზიორებმა ერთად.

ფანხიოს ხიფათიც თან სდევდა: 1952 წელს მონაცაზე მანქანიდან გადმოვარდა და კისერი მოიტეხა; გარდა ამისა, დაღუპა მეწყვილეც, ანუ მრბოლი, ვისთან ერთადაც საზიარო მანქანით ასპარეზობდა. იმ დროში მრბოლები ხომ დისტანციის ნახევარ-ნახევარს უსხდნენ საჭეს, მერე კი მონაგარ ქულებს იყოფდნენ.

ფანხიოს უმნიშვნელოვანეს გამარჯვებათაგან გამოყოფენ 1957 წლის გერმანიის დიდი პრიზის გათამაშებას. ნიურბურგრინგზე, ერთ-ერთი პიტ-სტოპის დროს არგენტინელმა 48 წამი იზარალა და ბევრით ჩამორჩა პავტორნსა და კოლინზს, მაგრამ მერე, ფინიშამდე ათჯერ (!) გაუმჯობესა წრის რეკორდი და მეტოქეებს თავად გაუსწრო ოთხი წამით.

„მაესტრომ“ რბოლას თავი დაანება 1958 წელს საფრანგეთის „გრან-პრის“ შემდეგ, სადაც „მაზერატით“ მეოთხე ადგილს დასჯერდა.

პენსიაში გასვლის მერე ერთი ხანობა სამშობლოში „დიმლერ-ბენცის“ წარმომადგენლობის გენერალურ დირექტორად მუშაობდა, იყო არგენტინის ავტოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტი.

ფანხიოს არაერთხელ უღიარებია, რომ შიში ავტოსპორტში მეტად სასარგებლო რამაა: „ჩემს გვერდით ბევრი ჩინებული მრბოლი იყო, რომელთაც არაფრის ეშინოდათ, მაგრამ თითქმის ყველა დაიღუპა ტრასაზე“, ხოლო თანამედროვეობის დიდ მრბოლს, ცხონებულ აირტონ სენას დონ ხუანის გამო უთქვამს, ჩემთვის სამაგალითო იყო ყოველთვის; მასზე მეტჯერ რომ გავხდე ჩემპიონი, ვიცი, მაინც ვერ გავუტოლდებიო.

გია ახალაძე



ჭეშმარიტება

საჭიროა თუ არა ჩაფხუტი?

უქმე ორშაბათის შემდეგ საფრანგეთის 82-ე ველოტური სამშაბათს, 18 ივლისს განხლდა და უმალ ტრაგედიაც დატრიალდა: XV ეტაპის (სენეირონი — კოტერე, 206 კილომეტრი) დაწყებიდან 34 კილომეტრის გავლის შემდეგ, პორტ დე ასპეს მთის ფერდობზე დალმართში მავანი მრბოლი დაეცა, სამიე ზედ მიჰყვა, წარმოქმნილ ქაოსში კი ამერიკული გუნდის — „მოტოროლას“ 24 წლის იტალიელი მრბოლი ფაბიო კაზარტელი მოსასვლელში გზიდან გადავარდა, ბეტონის ჯებირს უჩაფხუტო თავი დაკარა, კომაში ჩავარდა და ჰოსპიტალში მიყვანილმა ნახევარ საათში სულიც განუტევა.

მრბოლთა უმეტესობას კაზარტელის ავარია ფინიშამდე არც შეუტყვია. გაიმარჯვა ფრანგმა რიშარ ვირონკმა, რომელმაც სოლო-რეიდი წამოიწყო და ერთ წუთზე მეტით აჯობა იტალიელ კლაუდიო კიაპუჩისა და კოლუმბიელ ერნან ბუენორას. ლიდერი მიგელ ინდურაინი (ესპანეთი) და მდევარი ალექს ზულე (შვეიცარია) ფინიშთან ერთად მივიდნენ, რის გამოც სხვათა უცვლელი დარჩათ — ორი წუთი და 46 წამი. ამ დღეს ვერ ივარგა ფრანგმა ლორან ჟალაბერმა, რის შემდეგაც მესამე ადგილზე დანიელი რისი გადავიდა (5.59).

დაღუპული ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონია პირად რბოლაში. იგი გუშინ უნდა დაეკრძალათ შინ, იტალიაში. პროცესიას უნდა დასწრებოდნენ ბერნარ ინო, სამთიმოთხილამურე ჟანკლოდ კილი. ენდი მერქსიც აპირებდა ჩასვლას. განსვენებულს ქვრივი და თოთო ბავშვი დარჩა. მათ შესაწევნად „მოტოროლამ“ ტურის მთელი ჰონორარი გაიღო. ვალში არც ორგანიზატორები დარჩენილან.

ტურის ისტორიაში კაზარტელი მეოთხე დაღუპელია. წინა მსხვერპლი ბრიტანელი ტონი სიმფსონი იყო. მას ტრაგედია 1967 წლის 30 ივლისს შეემთხვა. ტურის ორგანიზატორებმა სწორედ მაშინდელი სამგლოვიარო ღონისძიებები გაიხსენეს. მორიგი, XVI ეტაპის (19 ივლისი; ტარბი — პო, 237 კილომეტრი) წინ წუთიერი დუმილი მოეწყო, თავად რბოლა კი სიმბოლურად წარიმართა. არავის უცდია სხვებისთვის გასწრება. ამ გრძელ, ცხელ ეტაპზე, მზეს ალაგ-ალაგ ასფალტიც რომ გაეღღო, დამწუხრებული მრბოლები, ეტყობა, ფიქრებს მისცემოდნენ. პოში, წინასწარი შეთანხმებისამებრ, მონაწილეებმა „მოტოროლას“ ექვსივე შემორჩენილი წევრი წინ გაუშვეს და ამათ ასე გადაკვეთეს ფინიში. ოფიციალურ გამარჯვებულად არავინ გამოუცხადებიათ. არც რაგინდარა ჩათვლაში შეცვლილა მდგომარეობა. მერე მავანმა გულაჩუყებულმა გაზეთმა დაწერა, XVI ეტაპის ფინიში კაზარტელის უკანასკნელი გამარჯვება იყო.

90 კილომეტრი-საათში სიჩქარით მქროლი იტალიელის დაღუპვამ ჩაფხუტის თავზე დახურვის მიზანშეწონილების შესახებ მორიგი დისკუსია გამოიწვია. პროფესიონალები, მოყვარულებისგან განსხვავებით, ეტყობა, ძველი ბიჭები არიან და ჩაფხუტის ხმარება ერცხვინებათ. ორგანიზატორებმა მისი სავალდებულოდ გამოცხადება ერთხელ რომ სცადეს, მრბოლები გაიფიცნენ, აქაო და თავს კი გვიცავს ტრავმებისაგან, მაგრამ მზეში დასიცხვაც იცის და სითბურ დაკვრას იწვევსო.

დიახ, მეგობრობამ გაიმარჯვა

ჩოგბურთის მოყვარულთა კლუბ „მუხის ფოთლის“ ტურნირებში, მუდამ მეგობრობა, გაგება და ურთიერთპატივისცემა იმარჯვებდა. რა თქმა უნდა, ადგილებიც ნაწილდებოდა. წლევანდელ ტურნირში, ვაკის პარკის ნაცვლად ბავშვთა ქალაქ „მზიურში“ რომ მოეწყო, ერთეულებში მიკი გიგინეიშვილმა ივარგა და კარგი საჩუქარიც მიიღო — საქართველოში იუნესკოს წარმომადგენლობის მიერ პრიზად დწესებული ამერიკული ჩოგანი. მიკიმ წყვილებშიც იყოჩაღა: მერაბ არველაძესთან ერთად კოტე გაბრიჩიძესა და ვახტანგ ყურაშვილს აჯობა. გამარჯვებულებს მხატვარ სოსო არღაშის მიერ დამზადებული პრიზები გადაეცათ, კლუბის მწვრთნელი ვიქტორ მესხიშვილი კი საჩუქრით დაჯილდოვდა.

ტურნირის დახურვა ერთობ წარმომადგენლობითი გახლდათ: პრესა, ტელევიზია, საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვლადიმერ გოგლიძე, საქართველოში იუნესკოს წარმომადგენლობის თავმჯდომარე პეტრე მეტრეველი, ვეტერანი ჩოგბურთელები... შეკრებილებმა პატივი მიაგეს ცნობილი ქართველი ჩოგბურთელის რენა აბაანდაძის ხსოვნას და მისი მემორიალური ტურნირის მოწყობაც გადაწყვიტეს.

ჩოგბურთი

გრაფი ან სელეში

მონიკა სელეში საშეჯიბრებო ჩოგბურთს უბრუნდება. შემდეგ შაბათს, 29 ივლისს, ატლანტიკ-სითიში მას საჩვენებელ თამაშს გაუმართავს მარტინა ნავრატილოვა, რომელიც იმავდროულად ქალ პროფესიონალ ჩოგბურთელთა ტურის მოთამაშეთა ასოციაციის პრეზიდენტია. სწორედ ბებერი მარტინას თაოსნობითაა, რომ ასოციაცია სელეშს თავის კლასიფიკაციაში უბრუნებს იმ პირველ ადგილს, რომელიც მას ეკავა მაშინ, როცა გრაფის თაყვანისმცემელმა ბეჭში დაჭრა. ერთი ეგაა, სელეშს იმდენსავე ქულას ურიცხავენ, რამდენიც მსოფლიოს პირველ ჩოგან შტეფი გრაფსა აქვს, პირველი ექვსი ტურნირის მანძილზე კი პირველობასაც ხელოვნურად შეუნარჩუნებენ. სელეში ამერიკის ღია პირველობაზეც აპირებს თამაშს. გასარკვევი ყოფილა, ორგანიზატორები მას განთესენ თუ პერსონალურ მიწვევას — ვაილდ-ქარდს აახლებენ.

სამაგიეროდ, ველარ თამაშობს გრაფი. უიმბლდონის მოგების შემდეგ ზურგის ტკივილმა იგი უკვე გამოაკლო როგორც ფედერაციის თასის ნახევარფინალში ესპანეთთან თამაშს, ასევე კარლსბადის საერთაშორისო ტურნირს, რომელშიც აქამდე ოთხჯერ გუმარჯვნია.

ჯეფ ტარანგო

გრაფს ვერც საყოფაცხოვრები საკითხები აქვს მოწესრიგებული. მისი საფრანგეთის ღია პირველობისდროინდელი შემოსავლით ერთობ დაინტერესდნენ გადასახადების ამკრეფნი: გამოძიებაც დაიწყეს და სახლიც გაუზრიკეს. გრაფი ყოველგვარ ბრალდებას უარყოფს. თუმც გერმანიიდან წასვლა არა სურს, მისთვის მაინც ისეთი გაუსაძლისი ატმოსფერო შეუქმნიათ, რომ შეიძლება სამშობლოდან გადაიხვეწოს თურმე.

ამერიკელი ჯეფ ტარანგო მთლად გადარეული გამოდგა. უიმბლდონის გახმაურებული ინციდენტის შემდეგ შინ, ვაშინგტონში, ამ კვირაში ჩაება პირველ ტურნირში და ვიდრე ფრანგ ოლივიე დელეტრთან წყვილად თამაშობდა, წესიერადაც იქცეოდა, მაგრამ ერთეულთა შეჯიბრებაში ჩაბმა ერთი იყო და მსაჯს, ამჯერად ნორმ ქრისთის გაუთავებელი კამთი გაუმართა, ერთხელ კი მისი განაჩენი რომ არ მოეწონა, ისევ გაიბუტა და კორტის მიტოვება დააპირა. ეს მატჩი ტარანგომ ბოლოსდაბოლოს მაინც წააგო ზიმბაბველ ბაირონ ბლექთან. ტურნირში ანდრე აგასიც მონაწილეობს, რომელმაც ოთხშაბათს ფრანგი ჟილბერის 6:2, 6:2 ძლევით მესამე წრეს მიაღწია.

ამერიკის სამხრეთ შტატებში რასიზმი იქაურებს ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი. ქალაქ რიჩმონდის საბჭომ ბევრი იმსჯელა გამოწენილი ზანგი ჩოგბურთელის, 1993 წელს შიდსით გარდაცვლილი ართურ ეშის გამო და საბოლოოდ დაადგინა, რომ ეს კაცი ღირსი არა ყოფილა მხარი დაუმშვენოს 1860-იანი წლების დროინდელი სამოქალაქო ომში კონფედერატების ჯართა გენერალ რობერტ ლიისა და თავად სამხრეთი შტატების კონფედერაციის პრეზიდენტს ჯეფერსონ დევისს. ამ ხალხის ქანდაკებები ქალაქელებს უთვალსაჩინოეს ადგილას ჰქონიათ გამოფენილი.

წინა კვირის ტურნირების ფინალებში: ბოშტატში (შვედეთი) ფერნანდო მელიგენიმ (ბრაზილია) 6:4, 6:4 მოუგო ქრისტიან რუდს (ნორვეგია); გშტატში (შვეიცარია) ევგენი კაფელნიკოვმა (რუსეთი) დაამარცხა იაკოვ ჰლასეკი (შვეიცარია) 6:3, 6:4, 3:6, 6:3; ნიუპორტში (აშშ) დავიდ პრინოსილმა (გერმანია) აჯობა დევიდ ვითონს (აშშ) 7:6, 5:7, 6:2; პალერმოში (იტალია) რუმინელმა ქალმა ირინა სპირლეამ დაამარცხა გერმანელი საბინე ჰაკი 7:6, 6:2.

აქეთური, იქეთური

ყვილაფრის ჩემპიონ ბრიტანელ სპრინტერ დონოვრდ ქრისთის წინა შაბათს მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეობა შესარჩევ ეროვნულ პირველობაზე კატრიოზი გადახდა: 100 მეტრი ნახევარფინალში 10,93-ში გაირბინა და ვერ მოხვდა ფინალში, სადაც ბრლის ნინტენდო-ს შეგულ ატუმრად ქრისთან ამერიკელ ჯვმელ ოლიმპიადა, 10,17-ში მიიწია ფინიშს. მაგრამ ეკმაყოფილა მეორე ადგილზე გასული დარენ ბრეითვეითი სცენს. იმავე უქმეებზე, მონრეალში, კანადის პირველობაზე დონოვან ბეილის შედეგი 9,91 იყო, ბრუნი სურინისა კი — 9,97. ცუდად მოიქცა ბრიტანელი თარჯმორბენალი კოლინ ჯექსონი: თავისი ნაკრების უფროსობას უთხრა, ავადმიის გამო ნუ ჩამბამთ შესარჩევ შეჯიბრებაშიო, სადაც, სხვათა შორის, ფული არა რიგდებოდა, თავად კი პალერმოში გაშპა, სარფიან ტურნირშიც იასპარეზა, ბოლოს კი ბრიტანული მძლეოსნობის თავკაცს, პროფესორ პიტერ რადფორდს იქეთ შეუტია, რას მერჩით, სიცილიაზე ასპარეზობა წინდაწინვე მჭონდა დაგეგმილიო. მიუხედავად ამისა, მწვრთნელებს ჯექსონი მაინც ჩაურიცხავთ სამსოფლიოჩემპიონატო გუნდში.

*

გუშინ შოტლანდიაში, სენთ-ენდრიუზის კლუბში დაიწყებოდა ტურნირთა ტურნირი — ბრიტანეთის 124-ე საგოლფო პირველობა. სხვადასხვა მიზეზით ტურნირს დაწყებამდე გამოაკლდა ოთხი ბობოლა ამერიკელი. სამაგიეროდ, ითამაშებს მსოფლიოს უკლებლივ ყველა ცნობილი ოსტატი, მათ შორის მხცოვანი ამერიკელი თომ ვოთსონიც, რომელიც მონაწილეთა სიაში იმის წყალობით მოხვდა, რომ ორგანიზატორებმა ასაკის შეზღუდვა გაალიბერალურეს. შეჯიბრის დაწყებამდე ორი საათი რომ რჩებოდა, ჯერაც უცნობი იყო, შეძლებდა თუ არა თამაშს მსოფლიოს პირველი მეგოლფე, ავსტრალიელი გრეგ ნორმანი, ვისაც წელი კი აწუხებდა, მაგრამ ვერც სენთ-ენდრიუზში თამაშის შანსს ელეოდა ეგრე იოლად.

*

სამხრეთი აფრიკის კრივის ხელისუფლებამ პროფესიონალის ლიცენზია არ მისცეს 33 მოკრივეს, აქაო და შიდსის გამომწვევი ვირუსითა ხართ დასნებოვანებულნი. მათგან ათი საერთაშორისო სარბიელზე გადიოდა. მოკრივეთა ამგვარი გასინჯვა რესპუბლიკაში 1994 წლიდან შემოულიათ. სპორტის სხვა სახეობებში ეს ჯერაც არ ჰქონიათ წესად, თორემ ეჭვიც არ ეპარებათ, რომ კიდევ ბევრი სპორტსმენის დაწუნება მოუწევდათ.

*

ბირმინგემში შაბათს დაიწყო ნეთბოლის მეცხრე მსოფლიო ჩემპიონატი. კალათბურთის მსგავს ამ თამაშობას უპირატესად ქალები ეტანებიან და ისიც მხოლოდ ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნებში. ბირმინგემში სწორედ რომ ქალთა 28 გუნდი შეკრებილა. ავსტრალია ხუთგზის ჩემპიონია, ახალი ზელანდია — ორგზის, სამხრეთი აფრიკა კი 1957 წლის შემდეგ პირველად ასპარეზობს.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკევობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიბრიაული

სარედაქციო კოლეგია:
გია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
ზურაბ მეძველია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოძრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29